

186
1988

საქართველოს
ბიბლიოთეკები

ISSN—0132—4241



საქართველოს სსრ მთავრობის დარგბენიღებუთა კავებუღი

№ 3

მანსი — მანსი

1988 წ.



საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3

მანისი — ივნისი

1988 წ.

**საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს
დადგენილება**

45. მარტოხელა ხანდაზმულ მოქალაქეთა და ინვალიდთა დახმარების საზოგადოებრივი ფონდის შესაქმნელად თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის საწარმოო გაერთიანება „ელ-მავალშენებლის“ კოლექტივის ინიციატივის შესახებ.

**საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს დადგენილებები**

46. სკკვ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 22 თებერვლის № 264 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
47. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ პარლამენტის
რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებები**

48. რესპუბლიკის მოსახლეობის ინვალიდობის პროფილაქტიკის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
49. საქართველოს სსრ მეზღვაობის ამხანაგობის ტიპობრივი წესდების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

50. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 22 თებერვლის № 263 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
51. „სსრ კავშირის ფარგლებში სამსახურებრივ მივლინებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 18 მარტის № 351 დადგენილების რეალიზაციის თაობაზე.
52. საქართველოს სსრ რესპუბლიკის ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეთა საკუთრებაში სოფლად არსებულ საცხოვრებელ სახლებთან მდებარე საკარმიდამო მიწის ნაკვეთების ეფექტიანად გამოყენების დამატებით ღონისძიებათა შესახებ.
53. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 5 აპრილის № 415 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
54. ხარისხოვანი ჩაის ფოთლის შესასყად ფასების შესახებ.
55. სპაროქტო-საძიებო სამუშაოთა დაგეგმვის საკითხზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში ცვლილებათა შეტანის შესახებ.
56. ალექსანდრე (სანდრო) ვასილის ძე ახმეტელის სახელობის პრემიის დაწესების შესახებ.
57. ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კვლევისა და წარმოების სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ადაპტაგენის“ შექმნის შესახებ.
58. საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 29 მარტის № 145 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
59. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 16 აპრილის № 480 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
60. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 16 აპრილის № 481 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
61. სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის შრომის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალთან მართვის, დაგეგმვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის საკონსულტაციო-დანერგვითი სამეურნეო ანგარიშ-შინი ცენტრის „შრომის“ შექმნის შესახებ.



62. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო მოძრაობის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სამეცნიერო-კვლევით ცენტრად გარდაქმნისა და სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თეოდატინანსებზე მისი გადაყენის შესახებ.
63. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 28 დეკემბრის № 633 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
64. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 12 ივნისის № 421 და 1985 წლის 17 ოქტომბრის № 653 დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
65. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 26 მარტის № 139 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
66. რუსთაველის საზოგადოების საკითხები.

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

45 მართხელა ხანდაზმულ მოქალაქეთა და ინვალიდთა დახმარების საზოგადოებრივი ფონდის შესაქმნელად თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ კოლექტივის ინიციატივის შესახებ

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო აღნიშნავენ, რომ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ კოლექტივმა გამოიჩინა ინიციატივა შექმნას მართხელა ხანდაზმულ მოქალაქეთა და ინვალიდთა დახმარების საზოგადოებრივი ფონდი და ჩაატარა შაბათობა, რომლის სახსრები გადაწყვიტა შეიტანოს ამ ფონდში.

იმასთან დაკავშირებით, რომ ზემოაღნიშნული ინიციატივა მოწმობს მართხელა ხანდაზმულ მოქალაქეთა და ინვალიდთათვის ზრუნვის გაძლიერებას და დემოკრატიზაციის განვითარების პირობებში მშრომელთა მაღალი ზნობრივი თვისებების გამოვლენას, საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ადგენენ:

1. მოწონებულ იქნეს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ კოლექტივის ინიციატივა და ნება დაერთოს მას, როგორც გამონაკლისი, ჩაატაროს შაბათობები ყოველწლიურად ივნისის პირველ შაბათს და შექმნას მათი ჩატარებისაგან მიღებული სახსრების ხარჯზე მართხელა ხანდაზმულ მოქალაქეთა და ინვალიდთა დახმარების ფონდი.

2. საქართველოს კვ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, პროფკავშირთა რესპუბლიკურმა კომიტეტებმა:

— ურჩიონ ზემოაღნიშნულ შაბათობათა ჩატარება ყოველწლიურად ივნისის პირველ შაბათს და ამ ღონისძიების განხორციელებისაგან მიღებული თანხები გადარიცხონ მართხელა ხანდაზმულ მოქალაქეთა და ინვალიდთა დახმარების ფონდში;

— გააძლიერონ ყურადღება მართხელა ხანდაზმულ მოქალაქეთა და ინვალიდთა საქიროება-მოხრევილებებისადმი, მიიღონ კონკრეტული ზომები ამ კატეგორიის პირთათვის ზრუნვის გაძლიერების შესახებ სკვპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილებათა შესასრულებლად.

3. გაზეთების რედაქციებმა, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა ფართოდ გააშუქონ მართხელა ხან-

დაზმულ მოქალაქეთა და ინვალიდთა დახმარების ფონდის შექმნის საკითხებში, მათთვის ზრუნვის გასაძლიერებლად გაწეული მუშაობა. *საქართველო*

4. სსრ კავშირის ბინსოცბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა ბანკმა გახსნას სპეციალური ანგარიში, რომელზეც შემოვა მარტოხელა ხანდაზმულ მოქალაქეთა და ინვალიდთა დახმარების ფონდში ჩარიცხული სახსრები.

5. საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და ომისა და შრომის ვეტერანთა რესპუბლიკურმა საბჭომ ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ და დაამტკიცონ დებულება მარტოხელა ხანდაზმულ მოქალაქეთა და ინვალიდთა დახმარების ფონდის შესახებ და მისი გამოყენების წესი.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი
გ. პაბიაშვილი

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე
ზ. ჩხიძე

საქართველოს პროფკავშირთა
რესპუბლიკური საბჭოს
თავმჯდომარე
ვ. სირაძე

ქ. თბილისი, 1988 წ. 17 მაისი, № 240

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

46 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 22 თებერვლის № 264 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა მატერიალური უზრუნველყოფის საკითხებზე სსრ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 22 თებერვლის № 264 დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1988 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, დანართის თანახმად.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 22 თებერვლის № 264 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა მე-12 პუნქტის პირველი აბზაცი სსრ

ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 აპრილის № 315 დადგენილებისა „პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის შემდგომი განვითარებისა და კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადებაში მისი როლის ამაღლების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 9 ოქტომბრის № 716 დადგენილებით, აგრეთვე მე-5 პუნქტის მესამე აბზაცი მოსწავლეთათვის მისაცემი გასამრჯელოს ოდენობის ნაწილში და მე-14 პუნქტი მშობლებისაგან მოწყვეტით მცხოვრებ მოსწავლეთა და ბანაკებში ყოფნის პერიოდში კვების ხარჯების ნორმების ნაწილში.

საქართველოს კპ
 ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ჯ. კატიაშვილი

საქართველოს სსრ
 მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ო. ჩარაქიძე

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 3 მაისის № 222 დადგენილების დანართი

ნ უ ს ხ ა

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ძალადაკარგული დადგენილებებისა

1. საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 5 იანვრის № 17 დადგენილება „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისათვის მექანიზატორთა კადრების მომზადების შესახებ“.

2. მე-3 პუნქტი საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 11 თებერვლის № 100 დადგენილებისა „იმ სამხედრო მოსამსახურეთა შრომითი მოწყობისა და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის შესახებ, რომლებიც დათხოვნილი არიან სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ახალი მნიშვნელოვანი შემცირების კანონის შესაბამისად“.

3. საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 23 ივლისის № 530 დადგენილება „ზევადიანი სამსახურის იმ სამხედრო მოსამსახურეთა შრომითი მოწყობისა და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის ზომების შესახებ, რომლებიც დათხოვნილი იქნებიან თადარიგში სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ახალი მნიშვნელოვანი შემცირების კანონის შესაბამისად“.

4. საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 23 ივლისის № 532 დადგენილება „შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარებისა და დაცვის და ადგილობრივი საპაერო თავდაცვის შტაბების სამხედრო მოსამსახურეებზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 20 იანვრის № 74 დადგენილების მოქმედების გავრცელების და სსრ კავშირის გაუქმებული შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის ზოგიერთი თანამშრომლის საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ იმ შეღავათების ნაწილში, რომლებიც გათვალისწინებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 20 იანვრის № 74 დადგენილების მე-4 და მე-7 პუნქტებით.

5. მე-6 პუნქტი საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 13 თებერვლის № 119 დადგენილებისა „სოფლის მეურნეობისათვის მექანიზატორთა კადრების მომზადების საქმის გაუმჯობესების შესახებ“.

6. მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 22 მარტის № 180 დადგენილებისა „1966 წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამ-“

თავრებული ახალგაზრდობის სწვლების გაფართოებისა და სახალხო მეცნიერებაში სამუშაოდ მოწყობის ღონისძიებათა შესახებ“.

7. მე-20 პუნქტის მეორე აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 6 ივნისის № 376 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგების დაცვის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“.

8. მე-7 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 22 ივლისის № 444 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების ზომების შესახებ“.

9. მე-5 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 3 სექტემბრის № 492 დადგენილებისა „სოფლის მეურნეობაში ტექნიკის გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

10. მე-16 პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 29 აპრილის № 302 დადგენილებისა „საქართველოს სსრ საშუალო სასოფლო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ქსელის გაფართოებისა და მათი მოშობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

47 სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განხორციელების მიზნით საქართველოს კენჭრეკტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ადგენენ:

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის და ავტონომიური ოლქის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების მიზნით საქართველოს კენჭრეკტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ადგენენ:

1. საქართველოს კენჭრეკტი ოსეთის საოლქო კომიტეტმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა, ქალაქ ცხინვალის და ავტონომიური ოლქის რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა:

— ძირეულად გარდაქმნან ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა და შრომითი კოლექტივების საქმიანობა მოახმარონ ოლქისა და მისი ცალკეული რაიონების საწარმოო სფეროსა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის დარგების განვითარებაში არსებულ ნაკლოვანებათა უსწრაფესად დაძლევის, მოსახლეობის შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას;

— შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი კაპიტალურ დაბანდებათა გამოყოფილი ლიმიტების უცილობლივ ასათვისებლად, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლის საქმიანობის ეკონომიკურ მაჩვენებელთა გასაუმჯობესებლად.

2. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა გაითვალისწინონ მეთორმეტე ხუთწლეულის დარჩენილი წლების გეგმებსა და მეცამეტე ხუთწლეულის გეგმაში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ღონისძიებანი, № 1 დანართის თანახმად.

3. აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ ყველა სამინისტრო და უწყება როდი ეწევა ჯეროვან მუშაობას „ავტონომიური ოლქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებზე ადრე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ საქართველოს კენჭრეკტი ოსეთის საოლქო კომიტეტისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის ბარათის თაობაზე“ საქართველოს კენჭრეკტი კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 9 მარტის № 190 დადგენილების შესრულების უზრუნველყოფის დამატებით ღონისძიებათა შესახებ მეთორმეტე ხუთწლეულის ამოცანების გადაწყვეტის გათვალისწინებით“ საქართველოს კენჭრეკტი კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 25 თებერვლის № 117 დადგენილების დროული რეალიზაციისათვის, რაც იწვევს ცალკეულ ღონისძიებათა შესრულების დაწესებულებების არსებით დარღვევებს.

დაწესდეს საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 25 თებერვლის № 117 დადგენილებით, თვალისწინებულ შეუსრულებელ ღონისძიებათა რეალიზაციის ახალი ვადები, № 2 დანართის თანახმად.

შესაბამისმა სამინისტროებმა და უწყებებმა არ დაუშვეს № 2 დანართით გათვალისწინებულ ღონისძიებათა რეალიზაციის ახალი დაწესებული ვადების დარღვევა.

4. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ განახორციელოს 1988—1990 წლებში ცხინვალის ხე-ტყის კომბინატის ტექნიკური კვლავადჭურვა და სხვა ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, იმ ვარაუდით, რომ მიაღწიოს საწარმოს სტაბილურ მუშაობას და გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის არსებითად გაუმჯობესებას.

5. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ:

— 1988 წლის მეორე კვარტალის ბოლომდე შეავსოს ჭავის ჩამოსასხმელი ქარხნის საკუთარი საბრუნავი სახსრების ნაკლებობა;

— სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომთან ერთად განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი ზემოაღნიშნული აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს სარემონტო-სამშენებლო უბნის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა:

— განიხილოს და გადაწყვიტოს № 3 ტრესტის № 24 მოძრავი მექანიზებული კოლონის საწარმოო ბაზის გაფართოებისა და განმტკიცების საკითხი მისი წლიური სიმძლავრის 3 მილიონ მანეთამდე აყვანის მიზნით;

— ორი თვის ვადაში განახორციელოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სტრუქტურის სრულყოფის ეფექტიანი ღონისძიებები;

— შექმნას სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აგრომრეწვთან სპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზის სამეურნეოანგარიშოანი ჯგუფი;

— დაუფაროს ცხინვალის საკონსერვო ქარხანას სპირტის რეალიზაციის ზარალი 1310 ათასი მანეთის ოდენობით;

— წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი შემდეგ საკითხებზე:

ცხინვალის ხილბოსტანვაჭრობისათვის საკუთარი საბრუნავი სახსრების ნაკლებობის შეცვება 300 ათასი მანეთის ოდენობით და წინა წლებში წარმოქმნილი 700 ათასი მანეთის კრედიტორული დავალიანების დაფარვა;

ვანათის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სასუქებელი კომპლექსის რეკონსტრუქციის მიზანშეწონილობა;

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოზარდეულის ღირებულების გადიდების გამო წარმოქმნილი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხუთი წლისა და მეტი ხნის განმავლობაში გარდამავალ ნაშთად არსებული 4 მილიონი მანეთის დებიტორული დავალიანების, როგორც არარეალურის, ჩამოწერის შესაძლებლობა;

— გადაწყვიტოს შემდეგი საკითხები:

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებისა და საკმეურთა მეურნეობების მიერ 17,1 მილიონი მანეთის ვადაგადაცოლებული სესხების დაფარვა და 30 მილიონი მანეთის ვადაიანი სესხების დაფარვის ვადის გაგრძელება;

ყიზლარის მასივზე დამატებითი ზამთრის საძოვრების გამოყოფა ჭავის რაიონის მეურნეობებისათვის.

7. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ:

— განახორციელოს № 11 ტრესტის საჭირო მექანიზმებითა და მოწყობილობით უზრუნველყოფის გადიდების ეფექტიანი ღონისძიებები;

— მიიღოს ქმედითი ზომები მდინარე ჭეჯორის ნაპირგასამაგრებელ ნაგებობათა და დაბა კვაისის საავადმყოფოს მშენებლობის დაგეგმილ ვადებში დასამთავრებლად.

8. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ 1989—1990 წლებში გამოუყოს სამხრეთ ოსეთის ავტოსატრანსპორტო გაერთიანებას 5 ავტობუსი ლაზ-695, 10-10 ავტომობილი მაზ-5549 და მმზ-555 და 3 ავტომობილი მაზ-5432.

9. საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრომ განახორციელოს 1988 წელს ცხინვალის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ქალაქ ცხინვალში 4,6 კილომეტრი სიგრძის სივრცის 40 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის ქუჩების სავალი ნაწილის მოასფალტება.

საქართველოს სსრ სახმომარაგებამ გამოუყოს საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს ზემოაღნიშნული მიზნისათვის 4 ათასი კუბური მეტრი ქვიშა და 6 ათასი კუბური მეტრი ღორღი.

10. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ გაითვალისწინოს:

— კავშირგაბმულობის სახლის მშენებლობის დაწყება 1989 წელს ქალაქ ცხინვალში;

— 1990 წელს ქალაქ ცხინვალისათვის ავტომატიკის 20 სატელეფონო არხის დამატებით გამოყოფა თბილისის არმ-20 სადგურიდან მათი მიერთების მიზნით;

— 1990—1991 წლებში ცხინვალის ავტომატური ტელეფონის სადგურის გაფართოება 2500 ნომრით, მათ შორის 334-1000 ტიპის გასატანი სადგურისა;

— გორ-ცხინვალ-ჯავა-კვაისის რადიოსარეღო ხაზის მშენებლობის დამთავრება 1989 წელს, იმ ვარაუდით, რომ 1988 წლის სექტემბრის ბოლომდე დამთავრდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომისა და კვაისის ტყვია-თუთის მაღაროთსამმართველოს ძალებით დაწყებული ელექტროგადამცემი ხაზების, ტექნიკური ნაგებობებისა და მათთან მისასვლელი გზების მშენებლობის სამუშაოები;

— 1991—1992 წლებში კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის მშენებლობა დაბა ზნაურში და იქ 1000-ნომრიანი ავტომატური ტელეფონის სადგურის მონტაჟი;

— 1989 წელს ჯავის რაიონის სოფელ ვანელისა და როკის ატყვევების შესახებ;

— 1988 წელს ჯავის რაიონის სოფელ როკასა და ედისაში, ლენინგორის რაიონის სოფელ ლარგვისში სატელევიზიო გადაცემათა მიღების ტექნიკური შესაძლებლობის შესწავლა და დადებითი შედეგების კვალობაზე შესაბამის სამუშაოთა განხორციელება.

11. საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ განიხილეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ადგილობრივი ტელემაუწყებლობის ორგანიზაციისა და ჩრდილოეთ ოსეთის ტელევიზიის გადაცემათა მიღების შესაძლებლობის საკითხი და სამი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამის ორგანიზაციებთან შეთანხმებული წინადადებანი.

12. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ:

— მიიღოს საჭირო ზომები ქალაქ ცხინვალში წყალსადენი ქსელის რეკონსტრუქციის 1990 წელს დასამთავრებლად;

— საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად უზრუნველყოს ტრესტ „საქკომუნსპეცმშენის“ სამეურნეოანგარიშიანი უბნის შექმნა 1988 წლის პირველი ნახევრის ბოლომდე ქალაქ ცხინვალში;

— სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომთან, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ცხინვალის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის ტრესტისა და საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საბინაო მეურნეობის გაერთიანებასთან ცხინვალის სალიფტე მეურნეობის უბნის შექმნის შესახებ.

13. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ:

— საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსთან ერთად განიხილოს და გადაწყვიტოს ქალაქ ცხინვალის კომუნალური მეურნეობის სამსახურების შესანახად 1989 წლიდან სახსრების გადიდების საკითხი;

— გაუდიდოს 1988 წელს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის ასიგნებანი ქალაქ ცხინვალისა და დაბა კვაისის კეთილმოსაწყობად და გასამწვანებლად 400 ათასი მანეთის ოდენობით;

— გამოყოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს სისტემის საკუთარი საბრუნავი სახსრების ნაკლებობის შესავსებად ასიგნებანი 898,9 ათასი მანეთის ოდენობით.

14. კვაისის ტყვია-თუთიის მალაროთსამმართველომ შეუთანხმოს სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროს და განახორციელოს:

— შეცავტე ხუთწლედში მალაროთსამმართველოს თანამშრომელთა მშენებლობის პიონერბანაკის მშენებლობა სოფელ კობეთში;

— ჯავა-კვაისის გაზსადენის მშენებლობის დაფინანსება 1989 წელს.

15. საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტმა შეასრულოს 1989 წელს ჯავა-კვაისის გაზსადენის მშენებლობის შემკვეთისა და მოიჯარის ფუნქციები და უზრუნველყოს კვაისის ტყვია-თუთიის მალაროთსამართველოს მიერ 1989 წელს გადაცემულ კაპიტალურ დაბანდებათა ათვისება.

16. საქართველოს გაზის ტრანსპორტირებისა და მიწოდების საწარმოო გაერთიანებამ უზრუნველყოს, მოყოლებული 1990 წლიდან, ჯავა-კვაისის გაზსადენის მშენებლობის დაფინანსება და ამ ობიექტზე შემკვეთის ფუნქციების შესრულება, იმ ვარაუდით, რომ იგი საექსპლუატაციოდ გადაეცეს 1991 წელს, ხოლო საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტმა განახორციელოს გენერალური მოიჯარის ფუნქციები.

17. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ:

— უზრუნველყოს 1988—1989 წლებში ცხინვალვაჭრობისათვის საჭირო რაოდენობის ტექნოლოგიური და არამექანიკური მოწყობილობის გამოყოფა;

— სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომთან ერთად განახორციელოს 1988 წელს ქალაქ ცხინვალში ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების კაპიტალური რემონტი და ტექნიკური კვლავაღჭურვა;

— ყოველწლიურად დამატებით გამოუყოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს „ჟიგულის“ მარკის 10-10 ავტომობილი ავტონომიური ოლქის საწარმო-ორგანიზაციების განსაკუთრებით თავგამოჩენილ მუშაკათათვის მისაყიდად;

— ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავების და 1989—1995 წლებში ქალაქ ცხინვალში 800 კვადრატული მეტრი სავაჭრო ფართობიანი სავაჭრო ცენტრისა და 650 კვადრატული მეტრი სავაჭრო ფართობიანი უნივერსალური თვითმომსახურების მაღაზიის მშენებლობის შესახებ.

18. ცეკავშირის გამგეობამ გახსნას 1989 წელს ქალაქ ცხინვალში კოოპერაციული ვაჭრობის მაღაზია.

19. ცეკავშირის გამგეობამ და რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქაგრომშენმა“ დაამთავრონ 1988 წელს საბითუმო ვაჭრობის ბაზის მშენებლობა ქალაქ ცხინვალში.

20. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკურმა საბჭომ დაამონტაჟა ქალაქ ცხინვალში ალუმინის კონსტრუქციებისაგან დამზადებული ორი, ხოლო კურორტ ჯავაში — ერთი პავილიონი სავაჭრო ობიექტების მოსათავსებლად.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გამოუყოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს ხელფასის ფონდი 10 ათასი მანეთის ოდენობით ზემოაღნიშნული პავილიონების

სამონტაჟო სამუშაოთა შესასრულებლად, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ — 95 ათასი მანეთი პავილიონების ღირებულების ასანაპიროვნებლად, ხოლო საქართველოს სსრ სახმომარაგებამ — 3 ათასი გრძივი მეტრი მინაქსოვილი ტრ-07, 500 კილოგრამი მეთილეთილექტონის ზეჟანგი და 3 ათასი კილოგრამი პოლიეთერის ფისი, რაც დაიხარჯა პავილიონების დასამზადებლად.

21. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა გამოყონ 1990 წელს კაპიტალური დაბანდებანი ქალაქ ცხინვალში სამუსიკო სკოლის მშენებლობის დასაწყებად.

22. საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა გაითვალისწინოს კინოსტუდია „ქართული ფილმისა“ და კინოსტუდია „მემატიანის“ 1990—1991 წლების თემატურ სამუშაო გეგმებში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა ცხოვრების ამსახველი მხატვრული და დოკუმენტური ფილმების შექმნა.

23. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ:

— მოამზადოს ცხინვალის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან კულტურის განყოფილების შექმნის საკითხი და ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

— გამოუყოს 1989 წელს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტში 15 ადგილი ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის ქართული დასის მსახიობთა მიზნობრივი მომზადებისათვის;

— განიხილოს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სამხრეთ ოსეთის განყოფილების გახსნის საკითხი შესაბამისი საშტატო ერთეულების გამოყოფით;

— შეიტანოს რესპუბლიკის საგასტროლო გეგმებში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის თეატრალურ და საკონცერტო ორგანიზაციათა გამგზავრება საქართველოს სსრ სხვადასხვა რაიონში და მის ფარგლებს გარეთ;

— გამოყოს 1988 წელს თბილისის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში 5 ადგილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კულტურულ-საგანმანათლებლო დარგის მუშაკთა მოსამზადებლად.

24. საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ:

— მიიღოს საჭირო ზომები 1988 წელს კურორტ ჯავის სანატორიუმ „ლიახვის“ უცილობლივ საექსპლუატაციოდ გადასაცემად;

— გაადიდოს კვაისის ტყვია-თუთიის მალაროთსამმართველოს მუშაკთათვის კურორტ მენჯში, აბტალასა და წყალტუბოში დასასვენებლად გამოსაყოფი საგზურების რაოდენობა წელიწადში 30 ცალამდე. ხოლო კავკასიის მინერალური წყლების კურორტებისა და სოჭის სანატორიუმების საგზურები გამოყოს ნორმატივების თანახმად.

25. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა:

— დამატებით გამოუყოს 1988 წელს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს სარემონტო-საექსპლუატაციო

საქიროებისათვის მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, № 3 დანართის თანახმად, და გაითვალისწინოს მათი გამოყოფა 1989 და 1990 წლებში; № 4 დანართის თანახმად;

— გაითვალისწინოს მეცამეტე ხუთწლედში ყოველწლიურად სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომისათვის მასალების, მოწყობილობისა და მექანიზმების გამოყოფა იმ ოდენობით, რაც საჭიროა სარემონტო სამუშაოთა განსახორციელებლად ძირითადი ფონდების საბალანსო ღირებულების გათვალისწინებით, აგრეთვე საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის ლიმიტების გამოყოფა იმ მოცულობით, რაც მთლიანად აკმაყოფილებს ავტონომიური ოლქის მოთხოვნილებებს, და სატვირთო ავტომობილებისა საკუთარი საუწყებო ტრანსპორტის განსახლებლად და შესავსებად;

— გამოუყოს საქართველოს სსრ სახმშენს ხელფასის ფონდი 60 ათასი მანეთის ოდენობით ქალაქ ცხინვალში გერცენის, წერეთლის, ყულიევის, სანაკოევის, ჩერნიშევსკისა და სხვა ქუჩების კეთილმოწყობის საპროექტო სამუშაოთა შესასრულებლად.

26. საქართველოს სსრ სახმომარაგებამ გამოუყოს 1988 წელს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს მატერიალურ-ტექნიკური რესურსები რეზერვების ხარჯზე, № 5 დანართის თანახმად, და საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროსათვის, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსათვის გამოყოფილი ფონდების გადანაწილების ხარჯზე, № 6 დანართის თანახმად.

რესურსების გამოყოფა მომდევნო წლებისათვის გაითვალისწინოს არანაკლებ 1988 წლის დონისა.

27. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ სახმშენმა და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა განიხილონ ქალაქ ცხინვალის ჩამოყალიბებულ უბნებში სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების კეთილმოწყობის სამუშაოთა დაპროექტებისა და განხორციელების საკითხები, ამასთან გამოიწიონ აღნიშნული მიზნისათვის საჭირო სახსრები.

28. საქართველოს სსრ სახმშენმა:

— ერთი თვის ვადაში განიხილოს და წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ქალაქ ცხინვალის პერსპექტიული განვითარების საზღვრები;

— საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსთან და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომთან ერთად განიხილოს და გადაწყვიტოს ავტონომიური ოლქის საბინაო მშენებლობაში ახალი გაუმჯობესებული სერიის საცხოვრებელი სახლების დანერგვის საკითხი.

29. ინსტიტუტმა „საქქალაქმშენსაპროექტმა“ შეიმუშაოს 1988 წლის ბოლომდე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბ-

ქოს აღმასკომის შეკვეთით 60-ბინიანი საცხოვრებელი სახლისა და ინდივიდუალური მენაშენეთათვის საცხოვრებელი სახლების პროექტები.

30. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა:

— გამოყოს 1988 წელს ფართობი აღმასკომის საპროექტო ბიუროს და არქიტექტურისა და მშენებლობის განყოფილების მოსათავსებლად, აგრეთვე სადგომი კოოპერაციული ვაჭრობის მაღაზიის გასასხნელად;

— დროულად გაათავისუფლოს ტერიტორია ქალაქ ცხინვალში კავშირგაბმულობის სახლის ასაშენებლად;

— უზრუნველყოს ამ დადგენილებით გათვალისწინებული სახალხო-სამეურნეო ობიექტების მშენებლობა შესაბამისი მუშათა კადრებით.

31. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა:

— უზრუნველყონ მიწის ნაკვეთების დროულად გამოყოფა ქალაქ ცხინვალში მექანიკური ქარხნისა და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების ასაშენებლად;

— გამოყონ 1989—1991 წლებში ქალაქ ცხინვალში საბინაო მშენებლობის პირველი რიგისათვის 20 ჰექტარი საერთო ფართობის ტერიტორია, მათ შორის 4 ჰექტარი ცხინვალის სანერგე საბჭოთა მეურნეობა — ტექნიკუმის მიწებიდან და 16 ჰექტარი — ხეთაგუროვის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის მიწებიდან, აქედან 6 ჰექტარი — ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის;

— ათი დღის ვადაში გამოყონ ცხინვალის რაიონის მიწებიდან 100 ჰექტარამდე საერთო ფართობის ტერიტორია ქალაქ ცხინვალის მცხოვრებთა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის 2000 წლამდე და საქართველოს სსრ სახმშენთან ერთად წარმოუდგინონ წინადადება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

32. საქართველოს კვ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტმა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ყოველკვარტალურად შეისწავლონ ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა და შედეგების შესახებ მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

33. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 3 სექტემბრის № 510, 1979 წლის 25 იანვრის № 53, 1982 წლის 9 მარტის № 190 და 1985 წლის 25 თებერვლის № 117 დადგენილებანი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკითხებზე.

საქართველოს კვ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ჯ. პატიაშვილი

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ო. ჩირაქიანი

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სსრ. კ. ს. ს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

48 რესპუბლიკის მოსახლეობის ინვალიდობის პროფილაქტიკის აღდგომარეობისა და მისი უმადგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფსაბჭო ადგენენ:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დაცვის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მუშა-მოსამსახურეთა ავადმყოფობისა და ინვალიდობის გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად;

— შეისწავლონ მოსახლეობის ინვალიდობის გამომწვევი მიზეზები, 3 თვის ვადაში გააანალიზონ ისინი და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი საწარმოებში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების, უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მუშა-მოსამსახურეთა ავადმყოფობისა და ინვალიდობის გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად;

— მიიღონ ზომები საწარმოებში მუშა-მოსამსახურეთა სამედიცინო მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად, სამედიცინო-პროფილაქტიკური გასინჯვის, დისპანსერული მომსახურების ფართოდ დასაწვავად;

— წელიწადში ერთხელ განიხილონ თავიანთ რეგიონებსა და დარგებში ავადმყოფობისა და ინვალიდობის წინააღმდეგ ბრძოლის, ავადმყოფთა და ინვალიდთა სამედიცინო-სოციალური რეაბილიტაციის მდგომარეობა. მიიღონ ჯეროვანი ზომები არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

— ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სოციალური და ეკონომიკური განვითარების გეგმების შემუშავებისას გაითვალისწინონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომისუნარიანობის დაკარგვის გამომწვევი მიზეზების ლიკვიდაციას, ავადმყოფთა და ინვალიდთა სამედიცინო-სოციალური რეაბილიტაციის გაუმჯობესებას;

— მიიღონ დამატებითი ზომები გარემო პირობების დაცვის, ხელით შრომის შემცირების, შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ტემპების დაჩქარების ღონისძიებათა განსახორციელებლად, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნის, დაპროექტების, მშენებლობის, ტექნიკური კვლავალტურვის, მოქმედი საწარმოებისა და დაწესებულებების რეკონსტრუქციის დროს უზრუნველყოფნ სოციალური ნორმატივების აუცილებელი დაცვა;

— სახალხო დეპუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა გამოუყონ საექიმო-შრომით საექსპერტო კომისიებს შესაფერისი სათავსოები, აღჭურვონ ისინი სათანადო სამედიცინო და სამეურნეო ინვენტარით;

— პოლიკლინიკების მშენებლობის დროს გაითვალისწინონ საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიისათვის არანაკლებ 3-4 ოთახის გამოყოფა.

2. საქართველოს სსრ საწარმოების მქონე სამინისტროებმა და უწყებებმა, სამშენებლო ორგანიზაციებმა, აგრეთვე რესპუბლიკის ტერიტორიაზე გან-

ლაგებულმა საკავშირო დაქვემდებარების დარგების საწარმოებმა და გაერთიანებებმა პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად:

— მიიღონ საჭირო ზომები, რომ ინვალიდთა შრომითი დასაქმება მოხდეს საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების რეკომენდაციების გათვალისწინებით, ამასთან შექმნან პირობები, რომ ისინი სამუშაოდ მიღებულ იქნენ, როგორც წესი, იმავე საწარმოში, სადაც დაინვალიდებამდე საქმიანობდნენ;

— სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების დასკვნების საფუძველზე გადაიყვანონ ხანგრძლივად სნეული მუშა-მოსამსახურეები მათი ჯანმრთელობის მდგომარეობისათვის შესაფერის სამუშაოზე, შექმნან ავადმყოფთა და ინვალიდთა საწარმოო რეაბილიტაციის სააპქრობები;

— შრომისუნარიანობის დაკარგვის გამომწვევი ფაქტორების ლიკვიდაციის, ინვალიდთა შრომითი მოწყობისათვის სამუშაო ადგილების გამოვლენის მიზნით ფართოდ ჩაატარონ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების ექიმთა მონაწილეობით სამუშაო ადგილების ატესტაცია და რაციონალიზაცია;

— ერთი თვის ვადაში შეადგინონ და მიაწოდონ სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივ ორგანოებს იმ პროფესიათა და თანამდებობათა ნუსხა, რომლებშიც შეიძლება ინვალიდთა შრომის გამოყენება;

— სისტემატურად მიაწოდონ ინფორმაცია საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის ადგილობრივ ორგანოებს ვაკანტური თანამდებობებისა და სამუშაოების არსებობის შესახებ, ინვალიდთა და ასაკით პენსიონერთა შრომითი მოწყობისათვის.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს:

— გააძლიეროს მომთხოვნელობა და კონტროლი საწარმო-დაწესებულებებში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმებისა და წესების დაცვისადმი, ფართოდ გამოიყენოს ამისათვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებები;

— ააძლიეროს მოსახლეობის წინასწარი და პერიოდული სამედიცინო პროფილაქტიკური გასინჯვის ხარისხი და დისპანსერული მეთვალყურეობის ეფექტიანობა, განსაკუთრებით გაამაჩვილოს ყურადღება გულ-სისხლძარღვთა და ნერვული სისტემის, საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დაავადებებით შეპყრობილი პირების, აგრეთვე ხშირად და ხანგრძლივად სნეულთა დისპანსერული მეთვალყურეობისადმი;

— განახორციელოს ღონისძიებანი სამედიცინო-სოციალური რეაბილიტაციის სავადმყოფოების, განყოფილებების გასაფართოებლად. მიმდინარე ხუთწლედის დამლევამდე უზრუნველყოს ასეთი განყოფილებების შექმნა რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში;

— სამინისტროებთან და უწყებებთან, პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად მიიღოს ზომები გორკის ავტოკარხისა და ზაპოროჟიეს მეტალურგიული კომბინატის სამედიცინო-სანიტარიული ნაწილების გამოცდილების გამოსაყენებლად ავადმყოფთა და ინვალიდთა სამედიცინო-სოციალური რეაბილიტაციის საქმეში;

— საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან ერთად სრულყოს სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებისა და

საექიმო-შრომითი საქსპერტო კომისიების ურთიერთობის ფორმები და მეთოდები;

— გააძლიეროს მომთხოვნელობა და კონტროლი საექიმო-საკონსულტაციო კომისიების საქმიანობისადმი. სისტემატურად შეისწავლოს და განიხილოს კოლეგიის სხდომებზე ამ მხრივ არსებული მდგომარეობა;

— შესაბამისი სამედიცინო პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საშუალებით 1988 წლის დამლევამდე შეისწავლოს და გააანალიზოს რესპუბლიკაში ბავშვობიდან ინვალიდობის გამომწვევი მიზეზები, შეიმუშაოს კონკრეტული ღონისძიებანი გამოვლენილ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

— მიიღოს ზომები სამედიცინო ინსტიტუტში საექიმო-შრომითი ექსპერტიზის სასწავლო პროგრამის გასაფართოებლად და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს:

— ფართოდ დანერგოს საექიმო-შრომითი საქსპერტო კომისიების მუშაობის პრაქტიკაში ინვალიდობის გამომწვევი სამედიცინო-სოციალური და საწარმოო ფაქტორების ანალიზი და ამის საფუძველზე შეიმუშაოს ინვალიდობის პროფილაქტიკისა და ინვალიდთა შრომისუნარიანობის აღდგენის ღონისძიებანი;

— უზრუნველყოს საექიმო-შრომითი საქსპერტო კომისიების ექიმთა აუცილებელი მონაწილეობა სამუშაო ადგილების ატესტაციაში, საინჟინრო-საექიმო ბრიგადების საქმიანობაში, პირველ რიგში იმ საწარმოებში, სადაც ხშირია ინვალიდობის შემთხვევები;

— გააძლიეროს კონტროლი შრომაში ინვალიდთა რაციონალურად ჩამოსადმი, მიიღოს ზომები, რომ საექიმო-შრომითი საქსპერტო კომისიები სისტემატურად აწყობდნენ გამსვლელ სხდომებს საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში მუშა-მოსამსახურეთა და ინვალიდთა შრომის პირობების შესასწავლად, ინვალიდთა შრომითი მოწყობის შესაძლებლობების გამოსავლენად;

— საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად სისტემატურად შეისწავლოს ინვალიდობის გამომწვევი მიზეზები იმ რაიონებსა და ქალაქებში, სადაც მაღალია მუშა-მოსამსახურეთა პირველადი ინვალიდობა, მიიღოს ჯეროვანი ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად;

— განახორციელოს ღონისძიებანი საექიმო-შრომითი ექსპერტიზის ხარისხის გასაუმჯობესებლად, საექიმო-შრომითი საქსპერტო კომისიების მუშაობის პრაქტიკაში ფართოდ დანერგოს მოწინავე გამოცდილება, მუშაობის თანამედროვე ფორმები და მეთოდები. გააძლიეროს საექიმო-შრომითი საქსპერტო კომისიები კვალიფიციური, გამოცდილი კადრებით;

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ექიმ-ექსპერტთა კვალიფიკაციის ამაღლებას, როგორც საექიმო-შრომითი ექსპერტიზის, ისე ძირითადი სპეციალობის მიხედვით. 1988-1989 წლებში საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად ჩაატაროს საექიმო-შრომითი საქსპერტო კომისიების ექიმთა ატესტაცია;

— გააძლიეროს კონტროლი საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების მიერ საფუძვლიან საექსპერტო გადაწყვეტილებათა გამოტანისას;

— ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან, პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად სისტემატურად ჩაატაროს სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, სემინარები ინვალიდობის პროფილაქტიკის აქტუალურ საკითხებზე.

5. დაევალოთ პროფკავშირთა საოლქო საბჭოებს და რესპუბლიკურ კომიტეტებს:

— მიიღონ კონკრეტული ზომები შრომის ტექნიკური ინსპექტორების საქმიანობის გასაუმჯობესებლად, გააძლიერონ მათი პასუხისმგებლობა საწარმოო ტრავმატიზმის თავიდან აცილებისათვის, ნდობით აღჭურვილ ექიმებთან ერთად შრომის დაცვისა და სანიტარიულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელებისათვის;

— აქტიურად ჩააბან სამეურნეო ორგანიზაციები და სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოები საერთო და პროფესიულ დავადებათა მიზეზების შესწავლისა და მათი თავიდან აცილების საქმეში;

— გაააქტიურონ პროფკომიტეტების, მათი კომისიებისა და შრომის დაცვის საზოგადოებრივი ინსპექტორების საქმიანობა შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცებისათვის, მომუშავეთა მიერ ამ სფეროში არსებული წესებისა და ინსტრუქციების განუზრახელი შესრულებისათვის;

— ავადმყოფობისა და ინვალიდობის პროფილაქტიკის შემდგომი სრულყოფის მიზნით მიაღწიონ ყველა დაინტერესებული ორგანოსა და ორგანიზაციის მონაწილეობას ტერიტორიულ-დარგობრივი პროგრამა „ჯანმრთელობის“ რეალიზაციაში;

— უზრუნველყონ საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების მუშაობაში პროფკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენელთა უცილობელი მონაწილეობა.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სათანადო დასაბუთებულ განაცხადის საფუძველზე ყოველწლიურად გამოუყოს საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიებს „ნივის“ მოდელის ავტომობილები მაღალმთიანი და ძნელად მისადგომი რაიონების მომსახურებისათვის.

7. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ უზრუნველყონ კონტროლი ამ დადგენილების შესრულებისადმი. განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ აცნობონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს 1989 წლის 2 მარტამდე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ო. ჩირაქიანი

საქართველოს პროფსაბჭოს
თავმჯდომარე
3. სირაძე

49 საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობის ტიპობრივი წეს- დების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა თანდართული ტიპობრივი წესდება.
2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1986 წლის 14 ნოემბრის № 709 დადგენილებით დამტკიცებული მებაღეობის ამხანაგობის ტიპობრივი წესდება.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ო. ჩერაქიანი

საქართველოს პროფკავშირთა
რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე
ვ. სირაძე



შეთანხმებულია
საკავშირო პროფსაბჭოს მდიანი
ლ. კახაკოვი
1988 წლის 27 აპრილი

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
და საქართველოს პროფკავშირთა რეს-
პუბლიკური საბჭოს 1988 წლის 24 ივნის-
ის № 285 დადგენილებით

საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობის ტიპოგარიში წესდება

I. მებაღეობის ამხანაგობის შექმნის წესი, მისი მიზნები და ამოცანები

1. _____
(საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, საბჭოთა მეურნეობის,

_____ მუშები, მოსამსახურეები, კოლმეურნეები
კოლმეურნეობის დასახელება)

და სხვა მოქალაქეები ნებაყოფლობით ერთიანდებიან მებაღეობის ამხანაგო-
ბაში _____, რათა მოაწიონ კოლექტიური ბაღი
(ამხანაგობის დასახელება)

მიწის ნაკვეთზე, რომელიც საწარმოს (დაწესებულებას, ორგანიზაციას, საბჭო-
თა მეურნეობას, კოლმეურნეობას, შემდგომ ეწოდება „საწარმო“) გადაეცა
უვადო სარგებლობისათვის _____

(იმ ორგანოს დასახელება, რომელმაც გადასცა

_____ 19____ წლის „____“ _____ № _____ დადგენი-
მიწის ნაკვეთი)

ლებით _____ ჰექტარი საერთო ფართობით შემდეგი მისამართით: _____

_____, ნაკვეთების რაოდენობა _____,

თითოეული _____ კვადრატული მეტრი.

2. მებაღეობის ამხანაგობა შეიძლება შეიქმნას საწარმოსთან, თუ ამხანა-
გობაში წევრად შესვლის მსურველია არანაკლებ 30 პირი. ასეთ პირთა ნაკლე-
ბი რაოდენობის შემთხვევაში საწარმოს ადგილსამყოფელის მიხედვით სახალ-
ხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით
დაიშვება საწარმოთა კოოპერირება მებაღეობის ამხანაგობის შესაქმნელად
ერთ-ერთ მათგანთან, სადაც ყველაზე მეტია ამ ამხანაგობაში შესვლის მსურ-
ველი.

3. იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, საბჭოთა მეურნეობის,
კოლმეურნეობის ადმინისტრაცია (კოლმეურნეობის გამგეობა) და პროფკავ-
შირის კომიტეტი (შემდგომ ეწოდება „საწარმოს ადმინისტრაცია და პროფ-
კავშირის კომიტეტი“), რომელთანაც იქმნება მებაღეობის ამხანაგობა, ატარე-
ბენ ამხანაგობაში შესვლის მსურველი მუშა-მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა და
სხვა მოქალაქეთა საერთო კრებას, ამტკიცებენ საერთო კრების გადაწყვეტილე-

ზას მებაღეობის ამხანაგობის შექმნის შესახებ და მასში შემსვლელთა სიას. საწარმოთა კოოპერირებისას რომელიმე მათგანთან მებაღეობის ამხანაგობის შესაქმნელად საერთო კრების გადაწყვეტილებას მებაღეობის ამხანაგობის შექმნის შესახებ და ამხანაგობაში შემსვლელ პირთა სიას ამტკიცებენ იმ საწარმოს ადმინისტრაცია და პროფკავშირის კომიტეტი, რომელთანაც შეიქმნა ამხანაგობა, კოოპერირებულ საწარმოთა ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტების მიერ წარდგენილი სიების საფუძველზე.

4. მებაღეობის ამხანაგობის ძირითადი ამოცანაა კოლექტიური ბაღის მოწყობა და მისი გამოყენება ამხანაგობის წევრთა მიერ ხილის, კენკრის, ბოსტნეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის საწარმოებლად, აგრეთვე მშრომელებისა და მათი ოჯახებისათვის თავისუფალი დროის კულტურულად გატარების, ჯანმრთელობის განმტკიცების, მოზარდთა შრომაში ჩაბმის პირობების შექმნა.

ყველა სამუშაო კოლექტიურ ბაღში სრულდება მებაღეობის ამხანაგობის წევრთა ან მათი ოჯახების წევრთა პირადი შრომით, გარდა იმ სამუშაოებისა, რომელთა შესრულება მოითხოვს სპეციალისტების მოწვევას.

მებაღეობის ამხანაგობის ტერიტორიის კეთილმოწყობის, ხილ-კენკროვანი ნარგავების მკვებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაოები სრულდება ერთიანი გეგმის მიხედვით.

5. მებაღეობის ამხანაგობის წესდება, რომელსაც მიიღებს ამხანაგობაში შემსვლელ მოქალაქეთა საერთო კრება ამ ტიპობრივი წესდების შესაბამისად, მტკიცდება საწარმოს ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის გადაწყვეტილებით და ექვემდებარება რეგისტრაციას იმ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს ამხანაგობა. მებაღეობის ამხანაგობის წესდებაში შემდგომი დამატებანი და ცვლილებანი შეიტანება ასეთივე წესით.

მებაღეობის ამხანაგობა იურიდიული პირის უფლებებს იძენს მისი წესდების რეგისტრაციის მომენტიდან.

მებაღეობის ამხანაგობას აქვს ბეჭედი და შტამპი თავისი სახელწოდებით.

6. კოლექტიური ბაღის ტერიტორიის ათვისება შეიძლება დაიწყოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისი ორგანიზაციისა და განაშენიანების პროექტს დაამტკიცებს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომი, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს მებაღეობის ამხანაგობა.

7. მებაღეობის ამხანაგობას უფლება აქვს აავოს პროექტების მიხედვით კოლექტიური ბაღის ტერიტორიის ორგანიზაციისა და განაშენიანების პროექტის შესაბამისად ხილბოსტნეულის საცავი, კოლექტიური სადგომები პირადი ტრანსპორტისათვის, საერთო სარგებლობის სხვა შენობა-ნაგებობანი.

8. მებაღეობის ამხანაგობასა და მის წევრებს უფლება აქვთ დაუდონ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს ხელშეკრულებანი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და მიყიდვის თაობაზე.



9. მებაღეობის ამხანაგობა თავისი ვალდებულებებისათვის პასუხისმგებელი მთელი კუთვნილი ქონებით.

ამხანაგობა არ აგებს პასუხს თავის წევრთა ვალდებულებებისათვის, თუნდაც ეს დაკავშირებული იყოს კოლექტიური მებაღეობის გაძღოლასთან, ხოლო მისი წევრები — ამხანაგობის ვალდებულებებისათვის.

10. მებაღეობის ამხანაგობა თავის საქმიანობას ახორციელებს იმ საწარმოს ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელთანაც შექმნილია ამხანაგობა.

კონტროლს მებაღეობის ამხანაგობის საქმიანობისადმი ახორციელებს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომი, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს ამხანაგობა.

საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭო (აგროკოოპი) თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1985 წლის 13 ივნისის № 403 დადგენილებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

სსრ კავშირის პროფესიულ კავშირთა წესდების თანახმად პროფკავშირები ახორციელებენ საზოგადოებრივ კონტროლს და იღებენ ზომებს კოლექტიური მებაღეობის განვითარების უზრუნველსაყოფად.

მებაღეობის ამხანაგობა გადადის სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის გამგებლობაში, რომლის ტერიტორიაზეც იგი მდებარეობს, იმ საწარმოს ლიკვიდაციის შემთხვევაში, რომელთანაც შექმნილია იგი, აგრეთვე შეიძლება ვადავიდეს აღმასკომის გამგებლობაში, თუ ამხანაგობის წევრთა 70 პროცენტზე მეტს აღარ აქვს შრომითი ურთიერთობა საწარმოსთან.

იმ შემთხვევაში, როცა მებაღეობის ამხანაგობა სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის გამგებლობაშია, მის საქმიანობას ხელმძღვანელობასა და კონტროლს უწევს აღმასკომი.

11. მებაღეობის ამხანაგობის წევრებს უფლება აქვთ მათთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე ააგონ 50 კვადრატულ მეტრამდე ფართობის საბაღე სახლები (გათბობით), ტერასის (ვერანდის) და მანსარდის ფართობის ჩაუთვლელად, აგრეთვე სამეურნეო ნაგებობანი (ცალკე მდგარი ან ბლოკირებული) შინაური ფრინველისა და ბოცვრებისათვის, სამეურნეო ინვენტარის შესანახად და სხვა საჭიროებისათვის, მათ შორის შხაპი ან აბანო (გათბობით), გარაჟი. ნაკვეთზე შეიძლება აიგოს სათბურები და დათბუნებული გრუნტის სხვა ნაგებობანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაყვანად. დასაშვებია სარდაფის მოთავსება სახლის ან სამეურნეო ნაგებობის ქვეშ.

საბაღე სახლებისა და სამეურნეო ნაგებობათა მშენებლობა მებაღეობის ამხანაგობების წევრთათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე ხორციელდება ტიპობრივი ან ინდივიდუალური პროექტების მიხედვით კოლექტიური ბაღის მოწყობისა და განაშენიანების პროექტის შესაბამისად.

12. მიწის ნაკვეთებზე აშენებულ საბაღე სახლებსა და სამეურნეო ნაგებობებს საექსპლუატაციოდ იღებენ კომისიები, რომლებსაც ქმნის სახალხო

დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომი, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს მებაღეობის ამხანაგობა. კომისიების შემადგენლობაში შედიან აღმასკომის, აგროკოოპის, ადგილმდებარეობასთან მისადაგების ტიპობრივი ან ინდივიდუალური პროექტის შემმუშავებელი საპროექტო ორგანიზაციის, სახელმწიფო სანიტარიული და სახანძრო ზედამხედველობის ადგილობრივი ორგანოების, აგრეთვე საწარმოს ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის, ამხანაგობის გამეგობის წარმომადგენლები ამხანაგობის წევრთა მონაწილეობით.

კომისია ამოწმებს, შეესაბამება თუ არა ასაგები სახლები და ნაგებობანი კოლექტიური ბაღის ტერიტორიის ორგანიზაციისა და ვანაშენიანების დამტკიცებულ პროექტს, და ადგენს მიღების აქტს ხუთ ცალად, რომელთაგან ორი რჩება ადგილობრივი საბჭოს აღმასკომში, ორი გადაეცემა მენაშენეს, ხოლო ერთი — საქაგროკოოპს.

II. მებაღეობის ამხანაგობის წევრობა. ამხანაგობის წევრთა უფლება-მოვალეობანი

13. მებაღეობის ამხანაგობის წევრებად შეიძლება მიღებულ იქნენ იმ საწარმოს მუშაკები, რომელთანაც შექმნილია მებაღეობის ამხანაგობა, და პენსიონერები იმ პირთა რიცხვიდან, რომლებიც ადრე მუშაობდნენ მოცემულ საწარმოში, აგრეთვე კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მუშაკები, თუ ისინი ცხოვრობენ მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში. სხვა მოქალაქენი შეიძლება მიღებულ იქნენ მებაღეობის ამხანაგობის წევრებად სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით და ამ ტიპობრივი წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მებაღეობის ამხანაგობის წევრად შესვლის უპირატესი უფლება აქვთ კეთილსინდისიერ მუშებსა და მოსამსახურეებს, შრომის ვეტერანებს, დიდი სამამულო ომის ინვალიდებსა და მონაწილეებს, დადგენილი წესით შეღავათების მიხედვით მათთან გათანაბრებულ პირებს, ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ ორი და მეტი შვილი, მრავალცვლიანი რეჟიმით მომუშავე მუშაკებს.

მებაღეობის ამხანაგობის წევრის გარდაცვალებას შემთხვევაში ამხანაგობაში შესვლის უპირატესი უფლება ეძლევა გარდაცვლილის ერთ-ერთ მემკვიდრეს.

ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა საპატიო მიზეზების გამო, რომლებიც აბრკოლებენ ამხანაგობის წესდების მოთხოვნათა შესრულებას, ცალკეულ შემთხვევებში მებაღეობის ამხანაგობიდან მისი რომელიმე წევრის გასვლისას ამხანაგობაში შეიძლება შევიდეს მისი ოჯახის ერთ-ერთი წევრი (ყოფილი წევრი), თუ იგი მასთან ერთად სარგებლობდა საბაღე ნაკვეთით და მონაწილეობდა მის ათვისებაში.

სხვა მიზეზების გამო მოქალაქეთა ამხანაგობიდან გასვლის შემთხვევებში ამხანაგობის წევრებად მიიღებიან ამ ბუნქტის პირველ აბზაცში აღნიშნული პირები, თუ არ არიან ამხანაგობაში შესვლის მსურველნი. — მოცემული დარგის მუშაკები, ხოლო თუ არ არიან ასეთნი, — სხვა დარგების მუშაკები საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოსთან შეთანხმებით.

14. დიდი სამამულო ომის და სსრ კავშირის დასაცავად სხვა კავშირით ოპერაციითაა მონაწილე არმომუშავეებს სამხედრო მოსამსახურეთა რეზერვში, რომლებიც მსახურობდნენ მოქმედი არმიის შემადგენლობაში შემავალ სამხედრო ნაწილებში, შტაბებსა და დაწესებულებებში, პარტიზანებს, აგრეთვე სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ვეტერანებს — არმომუშავე პენსიონერებს ოფიცერთა შემადგენლობის პირთა რიცხვიდან, რომელთაც უმწიკვლოდ იმსახურეს სამხედრო სამსახურში არანაკლებ 25 კალენდარული წელი და დათხოვნილი არიან ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან ასაკის, ავადმყოფობის, შტატების შემცირების ან ჯანმრთელობის შეზღუდული მდგომარეობის გამო, უფლება აქვთ შევიდნენ დადგენილი წესით შექმნილ მებალეობის ამხანაგობებში, მიუხედავად მათი უწყებრივი კუთვნილებისა, სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასკომების წარდგენით მებალეობის ამხანაგობის წევრთა რაოდენობის 20 პროცენტის ფარგლებში.

15. მებალეობის ამხანაგობის წევრებად არ შეიძლება მიღებულ იქნენ მოქალაქენი, თუ მათ ან მათთან ერთად მცხოვრებ და საერთო მეურნეობის მქონე მათი ოჯახების წევრებს აქვთ სარგებლობაში საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთები, აქვთ პირადი საკუთრების აგარაკები ან სარგებლობენ სახელმწიფო აგარაკებით განცალკევებული მიწის ნაკვეთებით, სამსახურებრივი მიწის ნაკვეთებით, აგრეთვე არიან საავარაკო-სამშენებლო კოოპერატივის წევრები ან სხვა მებალეობის ამხანაგობის წევრები.

16. საწარმოს ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის მიერ მებალეობის ამხანაგობაში შემსვლელ პირთა დამტკიცებულ სიაში შეყვანილი მუშები, მოსამსახურეები, კოლმეურნეები და სხვა მოქალაქენი ამხანაგობის წევრებად ითვლებიან ამხანაგობის წესდების რეგისტრაციის დღიდან.

მოქმედი მებალეობის ამხანაგობის წევრებად მიიღებიან მუშები, მოსამსახურეები, კოლმეურნეები და სხვა მოქალაქენი საწარმოს ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის გადაწყვეტილებით ან სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით, თუ ამხანაგობა მის გამგებლობაშია, ამხანაგობის გამგეობის რეკომენდაციების გათვალისწინებით.

17. მებალეობის ამხანაგობის წევრებს საბალე ნაკვეთები გამოეყოფათ საწარმოს ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით. ამხანაგობის წევრთა საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) გადაწყვეტილებით ეს ნაკვეთები შეიძლება გაიმიჯნოს ნატურაში ღობით ესთეტიკური მოთხოვნების შესაბამისად.

მებალეობის ამხანაგობის წევრთათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთების კონკრეტულ ზომებს აწესებენ ის ორგანოები, რომლებიც იძლევიან მიწის ნაკვეთებს კოლექტიური მებალეობისათვის, 400 კვადრატული მეტრიდან 600 კვადრატულ მეტრამდე ფარგლებში.

1985 წლის 1 იანვრამდე გამოყოფილი საბალე ნაკვეთები რჩება მებალეობის წევრთათვის მათი გამოყოფისას მოქმედი კანონმდებლობით დაწესებული ზომის მიხედვით.

მებაღეობის ამხანაგობის წევრს სახალხო დეპუტატთა რაიონული საკლავო საბჭოს აღმასკომის თანხმობით, რომლის ტერიტორიაზეც მებაღეობის ამხანაგობა, უფლება აქვს უარი თქვას დიდი ზომის საბაღე ნაკვეთის ნაწილზე ამ პუნქტის მეორე აბზაცში დაწესებულ მის მინიმალურ ზომამდე ან გაყოს ასეთი ნაკვეთი მისი ზომებისადმი ზემოაღნიშნული მოთხოვნების უზრუნველყოფით, რათა სხვა ნაწილი მიეცეს მისი ოჯახის წევრს (ყოფილ წევრს), რომელიც მასთან ერთად სარგებლობდა საბაღე ნაკვეთით.

18. მებაღეობის ამხანაგობის გამგეობა ამხანაგობის ყოველ წევრზე, მიღების დღიდან 1 თვის ვადაში, გასცემს საწევრო წიგნაკს, რომელშიც შეიტანება მონაცემები მისთვის გამოყოფილი საბაღე ნაკვეთის, შესასვლელი, საწევრო, მიზნობრივი შენატანების შესახებ და სხვა აუცილებელი ცნობები.

19. მებაღეობის ამხანაგობის წევრს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს ამხანაგობის წევრთა საერთო კრებებზე (რწმუნებულთა კრებებზე) და ამხანაგობის გამგეობის სხდომებზე გამოტანილი საკითხების, მათ შორის მის საქმიანობასთან და ქვეყასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში, აგრეთვე შეიტანოს წინადადებანი ამხანაგობის მუშაობის გასაუმჯობესებლად;

ბ) აირჩიოს და არჩეულ იქნეს ამხანაგობის გამგეობასა და სარევიზიო კომისიაში;

გ) განახორციელოს საბაღე სახლისა და სხვა ნაგებობათა მშენებლობა ამ ტიპობრივი წესდების მე-11 პუნქტში აღნიშნული ნორმებისა და წესების დაცვით;

დ) მიიღოს დადგენილი წესით კრედიტი საზაფხულო საბაღე სახლის შესაძენად ან ასაშენებლად და საბაღე ნაკვეთის კეთილმოსაწყობად;

ე) მისთვის გამოყოფილ საბაღე ნაკვეთზე იყოლიოს ფრინველი, ბოცვრები და ნუტრიები გაღიებში, ვოლიერებში, ფუტკარი იმ პირობით, რომ აუცილებლად დაიცვას სანიტარიული და ვეტერინარული წესები და ხელი არ შეუშალოს ნორმალურ დასვენებას მეზობელ საბაღე ნაკვეთებზე;

ვ) გამოიყენოს თავისი შეხედულებებისამებრ მისთვის გამოყოფილ საბაღე ნაკვეთზე მიღებული ხილის, კენკრის, ბოსტნეულის მოსავალი, აგრეთვე სოფლის მეურნეობის სხვა წარმოებული პროდუქცია;

ზ) გაცვალოს საბაღე ნაკვეთი სხვა მებაღეობის ამხანაგობის ნაკვეთზე საცხოვრებელ ადგილთან დაახლოების მიზნით ან სხვა საპატიო მიზეზების გამო საწარმოთა ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტების ან სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებით, თუ ამხანაგობა მათ გამგებლობაშია, მებაღეობის ამხანაგობათა გამგეობების რეკომენდაციების გათვალისწინებით საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოსთან შეთანხმებით;

თ) განახორციელოს ამხანაგობის წესდებიდან გამომდინარე სხვა უფლებები.

მებაღეობის ამხანაგობის წევრს უნარჩუნდება მისთვის გამოყოფილი საბაღე ნაკვეთით სარგებლობის უფლება საწვდარგარეთ სამუშაოდ გაგზავნის,



უციურესი ჩრდილოეთის რაიონებში და მათთან გათანაბრებულ სამუშაოდ წასვლის და დროებით არყოფნის სხვა შემთხვევებში, რომელთა დადგენილი წესით ეკავშნება ან ენახება საცხოვრებელი სადგომი. ასეთ დროს საბაღე ნაკვეთით შეიძლება ისარგებლოს ამხანაგობის წევრის მიერ რეკომენდებულმა სხვა პირმა საწარმოს ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის საერთო კრების ან სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის ნებართვით, თუ ამხანაგობა მის გამგებლობაშია, იმ პირობით, რომ ამ პირმა დაიცვას ამხანაგობის წესდების მოთხოვნები.

20. მეზაღეობის ამხანაგობის წევრი მოვალეა:

ა) შეასრულოს გარემოს დაცვის, კოლექტიური მეზაღეობის კანონმდებლობის, მეზაღეობის ამხანაგობის წესდების მოთხოვნები, სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს, მისი აღმასკომის, იმ საწარმოს ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის, რომელთანაც შექმნილია ამხანაგობა, ამხანაგობის წევრთა საერთო კრებების (რწმუნებულთა კრებების) და ამხანაგობის გამგეობის გადაწყვეტილებანი;

ბ) ხილის, კენკრის, ბოსტნეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის საწარმოებლად მიწის რაციონალური და მაღალეფექტიანი გამოყენების მიზნით უზრუნველყოს საბაღე ნაკვეთის დაწესებული ფართობის მინიმუმის დამუშავება ორი წლის განმავლობაში და დარგოს აუცილებელი ნარგავები;

გ) პირადად ან თავისი ოჯახის წევრებთან ერთად შრომითი მონაწილეობა მიიღოს ამხანაგობის წევრთა საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) ან ამხანაგობის გამგეობის გადაწყვეტილებით შესასრულებელ კოლექტიურ სამუშაოებში;

დ) შეასრულოს მიწის დამუშავების, ბაღის გაშენებისა და ნარგავების მოვლის აგროტექნიკური ღონისძიებები, დარგოს ხეხილი საბაღე ნაკვეთის საზღვრიდან არანაკლებ 3 მეტრის მანძილზე და ბუჩქნარი — არანაკლებ 1 მეტრის მანძილზე, დროულად განახორციელოს სარეველების, მავნებლებისა და მცენარეთა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი ინდივიდუალური დაცვის საშუალებათა აუცილებელი გამოყენებით და უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვით;

ე) წესრიგში იქონიოს საბაღე ნაკვეთი და მასზე არსებული ნაგებობანი, მისასვლელი გზები და კიუვეტები, დაიცვას სანიტარიული და ხანძარსაწინააღმდეგო წესები;

ვ) დროულად გადაიხადოს შესასვლელი, საწევრო და მიზნობრივი შესატანები ამხანაგობის წევრთა საერთო კრების მიერ დაწესებული ოდენობით და ვადებში;

ზ) დროულად შეიტანოს დაწესებული ოდენობის გადასახდელები საბაღე სახლის შესაძენად ან ასაშენებლად და მიწის ნაკვეთის კეთილმოსაწყობად მიღებული კრედიტის დაფარვის მიზნით, აგრეთვე წარუდგინოს საწარმოს, რომელთანაც შექმნილია ამხანაგობა, ან ბანკის დაწესებულებას, რომელმაც მისცა კრედიტი, გამგეობის მიერ დამტკიცებული ანგარიში ამ კრედიტის მიზნობრივი გამოყენების შესახებ და შეატყობინოს მათ თავისი საცხოვრებელი

ან სამუშაო ადგილის შეცვლის შესახებ, მასზე რიცხული კრებულის წევრების გადასაფორმებლად დადგენილი წესით;

თ) გაუფრთხილდეს ამხანაგობის საზოგადოებრივ ქონებას;

ი) დაიცვას მებალეობის ამხანაგობის შინაგანაწესი, არ დაუშვას ისეთი მოქმედებანი, რომლებიც დაარღვევენ საბაღე ნაკვეთებში დასვენების ნორმალურ პირობებს;

კ) შეასრულოს ამხანაგობის წესდებიდან გამომდინარე სხვა მოვალეობანი.

21. მებალეობის ამხანაგობის წევრი შეიძლება გაირიცხოს მებალეობის ამხანაგობიდან შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ გამოიყენებს მშენებლობაში უკანონოდ შეძენილ საშენ მასალებს და სამუშაო ძალას;

ბ) თუ თვითნებურად მიიტაცებს მიწას;

გ) თუ ზედიზედ ორი წლის განმავლობაში არ აითვისებს მისთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთს სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოსაყვანად;

დ) თუ არ გადაიხდის ამხანაგობის წევრთა საერთო კრების მიერ დაწესებულ შესასვლელ, საწევრო და მიზნობრივ შესატანებს;

ე) თუ თვითნებურად გადასცემს სხვა პირებს მთლიანად ან ნაწილობრივ მისთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთს და მასზე აშენებულ ნაგებობებს, გამოიყენებს ნაკვეთს არადანიშნულებისამებრ;

ვ) თუ სისტემატურად არ შეასრულებს გარემოს დაცვის ღონისძიებებს, აგროტექნიკურ წესებს, უარს იტყვის ან თავს აარიდებს მებალეობის ამხანაგობის საერთო სამუშაოებში მონაწილეობას, სისტემატურად დაარღვევს ამხანაგობის შინაგანაწესს;

ზ) თუ იგი სამუშაოდან დაითხოვეს დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით ან შრომის დისციპლინის დარღვევის გამო;

თ) თუ გამოვლინდა გარემოებანი, რომლებიც გამორიცხავენ მოცემული მებალეობის ამხანაგობის წევრად მისი დარჩენის შესაძლებლობას;

ი) თუ ააშენებს საბაღე სახლს სათანადოდ შეთანხმებული პროექტის გარეშე ან ამ ტიპობრივი წესდების მე-11 პუნქტით გათვალისწინებული ნორმებისაგან ანდა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმებისაგან გადახვევით.

მებალეობის ამხანაგობიდან გარიცხვა ხდება საწარმოს ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის ან სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით, თუ ამხანაგობა მის გამგებლობაშია, ამხანაგობის გამგეობის რეკომენდაციების გათვალისწინებით.

გადაწყვეტილება ამხანაგობიდან გარიცხვის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამისად სახელმწიფო ორგანოში, რომელსაც ექვემდებარება საწარმო, კოლმეურნეთა საერთო კრებაზე, მებალეობის ამხანაგობათა მუშაობის საკოორდინაციო საბჭოში, პროფკავშირთა საოლქო, რესპუბლიკურ საბჭოში, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში, ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომში.



ამხანაგობის გამგეობა იღებს ზომებს განთავისუფლებული მიწის ნაკვეთებზე ნაგებობათა და ნარგავობათა დაცვის უზრუნველსაყოფად ამხანაგობის წევრად მიღებული სხვა პირისათვის ამ ნაკვეთის მიცემამდე.

22. მებაღეობის ამხანაგობიდან გასულ (გარიცხულ) პირს უბრუნდება საერთო სარგებლობის სამეურნეო შენობა-ნაგებობათა (ცვეთის გამოკლებით), წყალმომარაგების, ელექტრიფიკაციის, გზებისა და ხიდების ასაშენებლად, კოლექტიური ბაღის ტერიტორიის შემოსაღობავად, ამხანაგობის მიწის ნაკვეთისათვისების ღონისძიებათა განსახორციელებლად (ტერიტორიის აგეგმვა, სამელიორაციო სამუშაოები, ნაყოფიერი გრუნტის შეტანა და სხვ.) მებაღეობის ამხანაგობის სალაროში შეტანილი მიზნობრივი თანხები, აგრეთვე უნაზღაურდება, შეფასების აქტის შესაბამისად. მისთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე არსებული საბაღე სახლისა და სხვა ნაგებობათა, ხილ-კენკროვანი ნარგავების ღირებულება, ნაკვეთის ასათვისებლად გაწეული სხვა ხარჯები.

ზემოაღნიშნულ პირს არ უბრუნდება შესასვლელი და საწვევო შენობა-ნაგებობები, ამხანაგობის მუშა-მოსამსახურეთა შესანახად, კულტურული ღონისძიებებისათვის, აგრეთვე საზოგადოებრივ შენობა-ნაგებობათა რემონტისათვის შეტანილი თანხები, წყლით, ელექტროენერჯითა და ავტოტრანსპორტით სარგებლობის გადასახდელები.

მებაღეობის ამხანაგობიდან გასული (გარიცხული) წევრის ნაცვლად ამხანაგობის წევრად მიღებული პირი ვალდებულია გადაიხადოს შესასვლელი შენობა-ნაგებობები, აგრეთვე ამხანაგობიდან გასული (გარიცხული) პირისათვის დასაბრუნებელი მიზნობრივი თანხები (შენობა-ნაგებობათა ცვეთის გათვალისწინებით), საბაღე სახლისა და სხვა ნაგებობების, ხილ-კენკროვანი ნარგავების ღირებულება და მიწის ნაკვეთის ასათვისებლად გაწეული სხვა ხარჯები.

მებაღეობის ამხანაგობიდან გასული წევრის ნაცვლად ამხანაგობის წევრად მიღებული მემკვიდრეები, ოჯახის წევრები (ყოფილი წევრები) თავისუფლდებიან შესასვლელი შენობის გადახდისაგან.

მებაღეობის ამხანაგობიდან გასულ (გარიცხულ) პირსა და მის ნაცვლად ამხანაგობის წევრად მიღებულ პირს შორის ყველა ანგარიშსწორება ხდება ამხანაგობის სალაროს მეშვეობით.

23. მებაღეობის ამხანაგობის წევრისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე აშენებული საბაღე სახლისა და სხვა ნაგებობათა ღირებულება ამხანაგობიდან მისი გასვლის (გარიცხვის) შემთხვევაში განისაზღვრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 21 აპრილის № 287 დადგენილებით დამტკიცებული შეფასების ნორმების მიხედვით, ნაგებობათა ცვეთის გათვალისწინებით.

ხილ-კენკროვანი ნარგავების ღირებულება განისაზღვრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 2 იანვრის № 3 დადგენილებით დამტკიცებული ნორმატივების მიხედვით.

ზემოაღნიშნული ნაგებობების, აგრეთვე ნაკვეთზე გაშენებული ხილ-კენკროვანი ნარგავების ღირებულებას განსაზღვრავენ იმ საწარმოს ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის მიერ შექმნილი შემფასებელი კომისიები, რომელთანაც არსებობს მებაღეობის ამხანაგობა, შესაბამისი საწარმოს ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის წარმომადგენელთა, მებაღეობის

ამხანაგობის გამგეობის წევრისა და ამ ამხანაგობიდან გასული (გარიცხული) წევრის შემადგენლობით. საწარმოს ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის ინიციატივით ან მებალეობის ამხანაგობიდან გასული (გარიცხული) წევრის თხოვნით კომისიის შემადგენლობაში მიიწვევიან სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

იმ შემთხვევაში, როცა მებალეობის ამხანაგობა სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის გამგებლობაშია, შემფასებელ კომისიას ქმნის შესაბამისი აღმასკომი აღნიშნული აღმასკომის წევრის, მებალეობის ამხანაგობის გამგეობის წევრის და ამ ამხანაგობიდან გასული (გარიცხული) წევრის, აგრეთვე აღმასკომის შეხედულებებისამებრ ან მებალეობის ამხანაგობიდან გასული (გარიცხული) წევრის თხოვნით სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

კომისია ადგენს ნაგებობათა და ხილ-კენკროვან ნარგავთა შეფასების აქტებს.

საწარმოს ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის მიერ შექმნილი შემფასებელი კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სამი თვის განმავლობაში იმ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომში, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს მებალეობის ამხანაგობა, ხოლო შესაბამისი აღმასკომის მიერ შექმნილი კომისიისა — მის ზემდგომ ორგანოებში.

24. მებალეობის ამხანაგობასა და მის წევრებს შორის წამოჭრილ სამოქალაქო სამართლის დავას, მემკვიდრეთა დავას ამხანაგობაში შესვლის დარღვეული თუ სადავო უპირატესი უფლების დაცვის შესახებ, აგრეთვე ქონებრივი ხასიათის დავას წყვეტს სასამართლო.

III. მებალეობის ამხანაგობის სახსრები

25. მებალეობის ამხანაგობის სახსრები იქმნება ამხანაგობის წევრთა შესავლელი, საწევრო და მიზნობრივი შენატანებისაგან, აგრეთვე სხვა შემოსავლისაგან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შესავლელი შენატანები იხარჯება ამხანაგობის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტისას. საწევრო შენატანები იხარჯება ამხანაგობის შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად.

მებალეობის ამხანაგობის ფულადი სახსრები ინახება დადგენილი წესით ამხანაგობის პირად ანგარიშზე შესაბამისი ბანკის დაწესებულებაში.

სახსრები იხარჯება გამგეობის თავმჯდომარისა და ბუღალტრის (ხაზინადრის) მიერ ხელმოწერილი დოკუმენტების მიხედვით, ამხანაგობის წევრთა საერთო კრებაზე (რწმუნებულთა კრებაზე) დამტკიცებული შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვის თანახმად.

IV. მებალეობის ამხანაგობის მართვის ორგანოები და სარევიზიო კომისია

26. მებალეობის ამხანაგობის საქმეებს მართავს ამხანაგობის წევრთა საერთო კრება, ხოლო კრებებს შორის პერიოდში — ამხანაგობის გამგეობა.

რამდენიმე მებაღეობის ამხანაგობისათვის ერთობლივი სამეურნეო-აღწევის შესასრულებლად ამ ამხანაგობათა საერთო კრებების გადმავლენებით შეიძლება შეიქმნას მათ მიერ განსაზღვრული ვადით საორგანიზაციო ჯგუფები.

საერთო კრება:

ა) იღებს ამხანაგობის წესდებს, შეაქვს მასში ცვლილებანი და დამატებანი;

ბ) ირჩევს ამხანაგობის გამგეობასა და სარევიზიო კომისიას;

გ) იღებს მებაღეობის ამხანაგობის შინაგანაწესს;

დ) ადგენს შესასვლელი, საწევრო და მიზნობრივი შესატანების ოდენობას და მათი გადახდის ვადებს;

ე) ამტკიცებს შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვას, ისმენს და ამტკიცებს გამგეობის წლიურ ანგარიშებსა და სარევიზიო კომისიის აქტებს;

ვ) ამტკიცებს შრომითი ხელშეკრულებების მიხედვით განსაზღვრულ-ბელ სამუშაოთა სახეობებს, იმ მუშაკთა შტატებს, რომლებთანაც ამხანაგობა დებს შრომითს ხელშეკრულებებს, წყვეტს მათი შრომის ანაზღაურების, აგრეთვე ამხანაგობის გამგეობის წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხებს სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების ანალოგიური კატეგორიის მუშაკთა შრომის პირობების შესაბამისად;

ზ) წყვეტს გამგეობის წევრთა და ამხანაგობის აქტივის წახალისების საკითხებს;

თ) განიხილავს საჩივრებს ამხანაგობის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის გადაწყვეტილებათა გამო;

ი) ვადამდე გაიწვევს ამხანაგობის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრებს;

კ) განიხილავს საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოში ამხანაგობის შესვლის საკითხს;

ლ) წყვეტს ამხანაგობის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის საკითხებს ამ ტიპობრივი წესდებით 30-ე და 38-ე პუნქტებით გათვალისწინებული წესის მიხედვით.

საერთო კრება განიხილავს აგრეთვე ამხანაგობის საქმიანობის სხვა საკითხებს.

საერთო კრება უფლებამოსილია გადაწყვიტოს საკითხები, თუ მას ესწრება ამხანაგობის წევრთა რაოდენობის ორი მესამედი მაინც.

27. მებაღეობის ამხანაგობებში, სადაც ძნელია საერთო კრებების მოწვევა, მათ გამგებლობაში შემავალ საკითხთა გადასაწყვეტად შეიძლება მოწვეულ იქნეს ამხანაგობის წევრების რწმუნებულთა კრება. საერთო კრებას შეუძლია განსაზღვროს რწმუნებულთა კრებაზე განსახილველი საკითხების ნუსხა.

რწმუნებულთა წარმომადგენლობის ნორმებსა და არჩევის წესს ადგენს ამხანაგობის გამგეობა საწარმოს ადმინისტრაციასთან და პროფკავშირის კომიტეტთან ან სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომთან შეთანხმებით, თუ ამხანაგობა მის გამგებლობაშია.

ამხანაგობის წევრების რწმუნებულთა კრება უფლებამოსილია გადაწყვიტოს საკითხები, თუ მას ესწრება რწმუნებულთა მთელი რაოდენობის სამი მეოთხედი მაინც.

28. გადაწყვეტილებანი ამხანაგობის წევრთა საერთო კრებაზე (რწმუნებულთა კრებაზე) მიიღება ხმის უბრალო უმრავლესობით ღია კენჭისყრით. ამხანაგობის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები ტარდება ღია ან ფარული კენჭისყრით საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) შეხედულებისამებრ.

29. ამხანაგობის წევრთა საერთო კრება (რწმუნებულთა კრება) მოიწვევა წელიწადში ორჯერ მაინც, ხოლო რიგგარეშე კრება — ამხანაგობის წევრთა (რწმუნებულთა) ან ამხანაგობის სარევიზიო კომისიის წევრთა რაოდენობის სულ ცოტა ერთი მესამედის მოთხოვნით, ანდა საწარმოს ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის ან იმ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოთხოვნით, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს ამხანაგობა.

30. მებაღეობის ამხანაგობის გამგეობა არის ამხანაგობის აღმასრულებელი ორგანო, თავის მუშაობაში ანგარიშვალდებულია ამხანაგობის წევრთა საერთო კრების (რწმუნებულთა კრების), აგრეთვე საწარმოს ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის ან სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინაშე, თუ მებაღეობის ამხანაგობა მის გამგებლობაშია.

გამგეობა აირჩევა არანაკლებ 5 კაცის შემადგენლობით ამხანაგობის წევრთაგან 2 წლის ვადით. გამგეობა თავის შემადგენლობიდან ირჩევს გამგეობის თავმჯდომარეს, მის მოადგილესა და ხაზინადარს. აუცილებლობის შემთხვევაში გამგეობა ქმნის საზოგადოებრივ კომისიებს, რომლებიც მუშაობენ მისი ხელმძღვანელობით.

გამგეობის გადარჩევა შეიძლება მოეწყოს ვადამდე ამხანაგობის წევრთა სულ ცოტა ერთი მეოთხედის ან ამხანაგობის სარევიზიო კომისიის, საწარმოს ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის, ანდა იმ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოთხოვნით, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს ამხანაგობა.

31. მებაღეობის ამხანაგობის გამგეობა:

ა) აღრიცხავს ამხანაგობის ქონებასა და ფულად სახსრებს, განაგებს მათ ამხანაგობის წევრთა საერთო კრებაზე (რწმუნებულთა კრებაზე) დამტკიცებულ შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში;

ბ) ორგანიზაციას უწევს აგროტექნიკური ღონისძიებების, ხილ-კენკროვანი ნარგავების მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაოების ჩატარებას, სარგავი მასალის, საბაღე და სხვა ინვენტარის, ორგანული და მინერალური სასუქების, შხამქიმიკატების, საშენი მასალების შეძენასა და შემოტანას, ახორციელებს ამხანაგობის წევრთა მომსახურებასთან დაკავშირებულ სხვა ღონისძიებებს;

გ) ორგანიზაციას უწევს წყალმომარაგების, ელექტრიფიკაციის, გზების მშენებლობის, ბაღის შემოღობვისა და სხვა სამუშაოებს, რომლებიც ხორციელ-

დება ამხანაგობის წევრთა საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) გადაწყვეტილებით;

დ) კოლექტიური ბალის ტერიტორიის ორგანიზაციისა და განაშენიანების პროექტის შესაბამისად წყვეტს ბილბოსტნეულის საცავების, პირადი ტრანსპორტის კოლექტიური სადგომების, საერთო სარგებლობის სხვა შენობა-ნაგებობათა მშენებლობის საკითხებს პროექტების მიხედვით, აწყობს სანერგეებს, ნაკვეთებს ამხანაგობის წევრთა და ნორჩ ნატურალისტთა მიერ საცდელი საშუაობების ჩასატარებლად, საბავშვო და სპორტულ მოედნებს;

ე) ეწევა ამხანაგობის წევრთა და მათი ოჯახების წევრთა შორის ახსნა-განმარტებით მუშაობას მათ მიერ ბუნების დაცვის კანონმდებლობის შესასრულებლად, კულტურულ-მასობრივ მუშაობას, ატარებს საუკეთესო მებაღეთა და თვალღიერება-კონკურსებს, აგრეთვე ამხანაგობის წევრთა მიღწევების ჩვენებას გამოფენებზე;

ვ) ახორციელებს კონტროლს იმისადმი, რომ:

— ამხანაგობის წევრებმა შეასრულონ ამხანაგობის წესდება, სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოსა და მისი აღმასკომის, საწარმოს აღმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის გადაწყვეტილებანი კოლექტიური მებაღეობის საკითხებზე, ამხანაგობის წევრთა საერთო კრებების (რწმუნებულთა კრებების) და ამხანაგობის გამგეობის გადაწყვეტილებანი, აგრეთვე ამხანაგობის შინაგანაწესი;

— დროულად განხორციელდეს კოლექტიური ბალის გაშენების, მისი მოვლის, ტერიტორიის კეთილმოწყობის და გარემოს დაცვის სამუშაოები;

— ამხანაგობის წევრებმა შეიტანონ ამხანაგობის წესდებით გათვალისწინებული შესატანები და გადასახდელები ამხანაგობის წევრთა საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) მიერ დაწესებული ოდენობით და ვადებში;

ზ) ადგენს წლიურ შემოსვალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვებს, წარადგენს მათ ამხანაგობის წევრთა საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) დასამტკიცებლად და აბარებს ამხანაგობის საერთო კრებას ანგარიშს თავისი მუშაობის შესახებ;

თ) ორგანიზაციას უწევს მებაღეობის ამხანაგობის და მის წევრთა ქონების, ნარგავებისა და ბალის მოსავლის დაცვას;

ი) ახორციელებს ამხანაგობის წევრთა მიერ საბაღე ნაკვეთებზე აშენებული ნაგებობებისა და ნარგავების, აგრეთვე საერთო სარგებლობის შენობა-ნაგებობების ინვენტარიზაციას, იღებს ზომებს საერთო სარგებლობის შენობა-ნაგებობების რემონტის დროულად ჩატარებისათვის. ინვენტარიზაციის მასალებს წარუდგენს საწარმოს აღმინისტრაციასა და პროფკავშირის კომიტეტს, აგრეთვე საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს;

კ) აღრიცხავს ამხანაგობის წევრთა მიერ კოლექტიურად შესრულებულ სამუშაოებს და ასახავს აღრიცხვის შედეგებს მათ პირად ანგარიშებში;

ლ) დახმარებას უწევს ამხანაგობის წევრებს ნამეტი ხილის, კენკრის, ბოსტნეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის რეალიზაციაში სა-

ბავშვო დაწესებულებებში, პიონერბანაკებში, სამომხმარებლო კულტურის შემსყიდველ პუნქტებსა და სხვა დამამზადებელ ორგანიზაციებში.

ბ) ხელს უწყობს სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებს ამხანაგობის წევრთა კუთვნილი ქონების სახელმწიფო სავალდებულო და ნებაყოფლობითი დაზღვევის სამუშაოთა განხორციელებაში;

გ) იღებს შრომითი ხელშეკრულებით ამხანაგობაში სამუშაოდ და ითხოვს დადგენილი წესით მუშა-მოსამსახურეებს, აგრეთვე ანაზღაურებს მათს შრომას;

დ) იღებს ზომებს სარევიზიო კომისიის მიერ გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ე) დებს ხელშეკრულებებს სამუშაოთა შესრულებისა და ამხანაგობისათვის მომსახურების გაწევის შესახებ;

ვ) წარუდგენს საწარმოს ადმინისტრაციასა და პროფკავშირის კომიტეტს ან სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომს, თუ ამხანაგობა მის გამგებლობაშია, ორ წელიწადში ერთხელ ანგარიშს საანგარიშო პერიოდში აშენებული საბაღე სახლებისა და შენობა-ნაგებობების დაწესებულ ნორმებთან და პროექტებთან შესაბამისობის, აგრეთვე ამხანაგობის წევრთა მიერ მიღებული კრედიტების მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების შესახებ;

ზ) შეაქვს ამხანაგობის წევრთა საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) განსახილველად ამ ტიპობრივი წესდებით მათ კომპეტენციაში შემავალი საკითხები, წყვეტს ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

გამგეობა უფლებამოსილია გადაწყვიტოს საკითხები, თუ სხდომას ესწრება გამგეობის წევრთა ორი მესამედი მაინც.

32. ამხანაგობის წევრთა საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) ოქმი ფორმდება 3 დღის ვადაში, ხელს აწერენ კრების თავმჯდომარე და მდივანი, მოწმდება ბეჭდით და ინახება ამხანაგობის საქმეებში მუდმივად.

ამხანაგობის გამგეობის სხდომის ოქმი ფორმდება დღე-ღამის განმავლობაში, ხელს აწერს გამგეობის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე, მოწმდება ბეჭდით და ინახება ამხანაგობის საქმეებში მუდმივად.

ამხანაგობის წევრთა საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) ოქმის ასლი აუცილებლობის შემთხვევაში წარედგინება საწარმოს ადმინისტრაციასა და პროფკავშირის კომიტეტს, რომელთანაც შექმნილია ამხანაგობა, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომს, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს მებაღეობის ამხანაგობა.

33. მებაღეობის წევრთა საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) და ამხანაგობის გამგეობის გადაწყვეტილებანი, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ამ წესდებასა და მოქმედ კანონმდებლობას, უნდა გაუქმდეს საწარმოს ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის ან იმ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს მებაღეობის ამხანაგობა, და საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს დადგენილებით.

34. მებაღეობის ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარე უზრუნველყოფს ამხანაგობის წევრთა საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) და ამხანაგობის

გამგეობის გადაწყვეტილებათა შესრულებას, წარმოადგენს ამხანაგობის სახელმწიფო ორგანოებთან და სხვა დაწესებულებათა ორგანიზაციებთან ურთიერთობაში, უფლება აქვს დადოს ამხანაგობის სახელით საამისოდ განსაკუთრებული მინდობილობის გარეშე შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში ხელშეკრულებანი, გასცეს მინდობილობანი, გახსნას ამხანაგობის მიმდინარე ანგარიში შესაბამისი ბანკის დაწესებულებებში.

35. მებაღეობის ამხანაგობის სარევიზიო კომისია არის ორგანო, რომელიც კონტროლსა და რევიზიას უწევს გამგეობის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას. იგი აირჩევა 2 წლის ვადით ამხანაგობის წევრთა რიცხვიდან არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით. სარევიზიო კომისიის გადარჩევა შეიძლება მოხდეს ვადამდე ამხანაგობის წევრთა საერთო რაოდენობის სულ ცოტა ერთი მეოთხედის ან საწარმოს ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის, ანდა იმ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოთხოვნით, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს ამხანაგობა.

სარევიზიო კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს.

36. მებაღეობის ამხანაგობის სარევიზიო კომისია ვალდებულია:

ა) გეგმის მიხედვით, მაგრამ წელიწადში ორჯერ მაინც, შეამოწმოს ამხანაგობის გამგეობის საფინანსო და სამეურნეო საქმიანობა და ჩატარებულ რევიზიათა შედეგების შესახებ მოახსენოს ამხანაგობის წევრთა საერთო კრებას (რწმუნებულთა კრებას);

ბ) მებაღეობის ამხანაგობის გამგეობის წლიური ანგარიშის მიხედვით მისცეს დასკვნა ამხანაგობის წევრთა საერთო კრებას (რწმუნებულთა კრებას).

ამხანაგობის სარევიზიო კომისია თავის საქმიანობის შესახებ ანგარიშს აბარებს ამხანაგობის წევრთა საერთო კრებას (რწმუნებულთა კრებას).

V. მებაღეობის ამხანაგობის საქმიანობის შეწყვეტა

37. მებაღეობის ამხანაგობის ლიკვიდაცია ხდება:

ა) იმ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს ამხანაგობა, თუ გამოვლინდა, რომ მან გადაუხვია ამხანაგობის წესდებით გათვალისწინებულ მიზნებს;

ბ) ამხანაგობის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, რომელიც შეთანხმებულია საწარმოს ადმინისტრაციასთან და პროფკავშირის კომიტეტთან და დამტკიცებულია იმ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს ამხანაგობა.

ამხანაგობის წევრთა საერთო კრება, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ამხანაგობის ლიკვიდაციის შესახებ, ირჩევს სალიკვიდაციო კომისიას, ხოლო სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით ამხანაგობის ლიკვიდაციის შემთხვევაში სალიკვიდაციო კომისიას ნიშნავენ საწარმოს ადმინისტრაცია და პროფკავშირის კომიტეტი.

კონტროლს სალიკვიდაციო მუშაობის კომისიისადმი ახორციელებს საქართველოს ადმინისტრაცია და პროფკავშირის კომიტეტი.

ამხანაგობის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი მთელი ქონება გამოიყენება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსით დადგენილი წესით.

38. მეზღვრობის ამხანაგობის რეორგანიზაცია (შეერთება, მიერთება, გაყოფა) ხდება ამხანაგობის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, რომელიც შეთანხმებულია საწარმოს ადმინისტრაციასთან და პროფკავშირის კომიტეტთან და დამტკიცებულია იმ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს მეზღვრობის ამხანაგობა.

ამხანაგობის რეორგანიზაციის შემთხვევაში დაცულია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მოთხოვნები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

50 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 22 თებერვლის № 263 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 22 თებერვლის № 263 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1988 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებანი თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩარკვიანი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვაპა**

ნ უ ს ხ ა

საქართველოს სსრ მთავრობის ძალადაკარგული დადგენილებებისა

1. მე-12 პუნქტის მეორე აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 14 იანვრის № 42 დადგენილებისა „საქართველოს სსრ მანქანატრაქტორთა სადგურების, მეცხოველეობის სამანქანო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მექანიზატორთა კვალიფიციური კადრების მომზადების გაუმჯობესების ზომების შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 27 აგვისტოს № 807 დადგენილება „ტექნიკური სასწავლებლების მოწყობის შესახებ საშუალო სკოლადამთავრებული ახალგაზრდობის საწარმოო-ტექნიკური მომზადებისათვის“.

3. მე-7 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 29 სექტემბრის № 556 დადგენილებისა „უღედმამოდ დარჩენილი ბავშვების აღზრდის გაუმჯობესების ზომების შესახებ“.

4. მე-4 პუნქტის მეხუთე აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 14 ივლისის № 452 დადგენილებისა „მექანიზატორთა კვალიფიციური კადრებით სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფის ზომების შესახებ“.

5. მე-10 პუნქტის მეთორმეტე აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 17 ოქტომბრის № 533 დადგენილებისა „ხალხური მხატვრული სარეწების შემდგომი განვითარების ზომების შესახებ“.

6. მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 19 მარტის № 144 დადგენილებისა „კვალიფიციურ სასოფლო-სამეურნეო შრომაში ქალების უფრო ფართოდ ჩაბმის შესახებ“.

7. 1-ლი პუნქტი და მე-5 პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 24 ივლისის № 418 დადგენილებისა „სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადების შემდგომი გაფართოების ღონისძიებათა შესახებ“.

51 „სსრ კავშირის ფარგლებში სამსახურებრივ მივლინებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 18 მარტის № 351 დადგენილების რეალიზაციის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ თავისი 1988 წლის 18 მარტის № 351 დადგენილებით „სსრ კავშირის ფარგლებში სამსახურებრივ მივლინებათა შესახებ“ გაერთიანებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა უფლებების გაფართოების, სამსახურებრივ მივლინებათა სახსრების ეკონომიურად ხარჯვისათვის მათი პასუხისმგებლობის ამაღლების, მივლინებათა ანაზღაურების წესის გამარტივებისა და დოკუმენტრუნვის შემცირების მიზნით:

ა) გააუქმა გაერთიანებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკთა სამსახურებრივი მივლინებებისათვის ხარჯების ლიმიტირება, მართვის ორგანოების, აგრეთვე ბიუჯეტზე არსებული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკთა მივლინების ხარჯების გარდა.

მართვის ორგანოების, აგრეთვე ბიუჯეტზე არსებული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკთა ყოველგვარი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ლიმიტებს აწესებენ სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები;

ბ) დააწესა, რომ:

— მივლინებულ მუშაკს უნაზღაურდება ხარჯები:

საცხოვრებელი სადგომის ქირისა არა უმეტეს 5 მანეთის ოდენობით დღე-ღამეში ქ. მოსკოვში, ლენინგრადში და მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში, 4 მანეთისა დღე-ღამეში სხვა ქალაქებში, აგრეთვე რაიონულ ცენტრებში და 3 მანეთისა დღე-ღამეში სხვა დასახლებულ პუნქტებში;

მივლინების ადგილამდე და უკან მუდმივ საიუსო ადგილამდე საჰაერო რკინიგზის, წყლის, საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტით (ტაქსის გარდა) მგზავრობისა, ტრანსპორტზე მგზავრთა სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის სადაზღვევო გადასახდელების ჩათვლით.

გაერთიანებათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს უფლება აქვთ იმ შემთხვევებში, როცა ზემოაღნიშნული ხარჯების ოდენობა წინასწარ არის ცნობილი, ნება დართონ ამ ხარჯების ანაზღაურება მივლინებულ მუშაკებს, მათი თანხმობით, დამადასტურებელი დოკუმენტების წარუდგენლად.

რბილ ვაგონში და საზღვაო ფლოტის გემებზე სატარიფო განაკვეთების I-IV ჯგუფების მიხედვით ასანაზღაურებელ კაიუტებში და სამდინარო ფლოტის გემებზე I და II კატეგორიების კაიუტებში, აგრეთვე საჰაერო ტრანსპორტზე I კლასის ბილეთით მგზავრობის ხარჯები მივლინებულ მუშაკს უნაზღაურდება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გაერთიანების, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელის ნებართვით მგზავრობის დოკუმენტების წარდგენისას.

მივლინებაში ყოფნის თითოეული დღისათვის მუშაკს ეძლევა ერთი 3 მანეთი და 50 კაპიკის ოდენობით, ხოლო უკიდურესი ჩრდილოეთის მხარეებში და მათთან გათანაბრებულ ადგილებში, აგრეთვე ხაბაროვსკისა და ზღვისპირეთის მხარეებში და ამურის ოლქში — 4 მანეთი და 50 კაპიკი;

— სამონტაჟო, გასამართავ და სამშენებლო სამუშაოთა შესასრულებლად მივლინებულ მუშებს, ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს იმ შემთხვევებში, როცა ეს სამუშაოები ორ თვეზე მეტ ხანს გრძელდება, მივლინების ადგილზე ყოფნის დროისათვის ეძლევათ ხელფასის დანამატი დღიურის ნაცვლად სატარიფო განაკვეთის (თანამდებობრივი სარგოს) 50 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 3 მანეთი და 50 კაპიკისა, ხოლო ადგილებში, სადაც გამოყენებულია ხელფასის კოეფიციენტები, ზემოაღნიშნული დანამატის ოდენობა დაწესებული კოეფიციენტების გათვალისწინებით არ უნდა აღემატებოდეს 4 მანეთს და 50 კაპიკს მივლინების თითოეული დღისათვის.

ზემოაღნიშნულ მუშაკებს, მივლინების ვადის მიუხედავად, საცხოვრებელი სადგომის ქირის ხარჯები უნაზღაურდებათ ამ დადგენილების 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის პირველი აბზაცის შესაბამისად დაწესებული ნორმების მიხედვით ამ ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე. დოკუმენტების წარუდგენლობის შემთხვევაში საცხოვრებელი სადგომის ქირის ხარჯები უნაზღაურდებათ დღე-ღამეში 1 მანეთის ოდენობით;

— გაერთიანებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკთა მივლინების ნებას რთავენ გაერთიანებათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები. ამასთან მივლინება დაქვემდებარების წესით ზემდგომ ორგანიზაციებში ხორციელდება ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელის გამოძახებით ან მასთან შეთანხმებით;

— მუშაკთა მივლინების ვადას განსაზღვრავენ გაერთიანებათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, მაგრამ იგი არ შეიძლება აღემატებოდეს 40 დღეს, გზაში ყოფნის დროის ჩათვლელად.

სამონტაჟო, გასამართავ და სამშენებლო სამუშაოთა შესასრულებლად გაგზავნილ მუშათა, ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა მივლინების ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელიწადს.

ცალკეულ შემთხვევებში მივლინების უფრო ხანგრძლივი ვადების დაწესება შეუძლიათ სსრ კავშირის სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროებსა და უწყებებში, ან სახელმწიფო და სამეურნეო მართვის სხვა ორგანოებში მუშაკთა მივლინების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 დღეს, გზაში ყოფნის დროის ჩათვლელად. მივლინების ვადის გაგრძელება დაიშვება განსაკუთრებულ შემთხვევებში არა უმეტეს 5 დღისა მართვის ამ ორგანოს ხელმძღვანელის წერილობითი ნებართვით. რევიზიათა და შემოწმებათა ჩასატარებლად მივლინების ხანგრძლივობა განისაზღვრება ამ დადგენილების 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მეცხრე აბზაცის შესაბამისად;

— დღიურების ოდენობის და საცხოვრებელი სადგომის ქირის ხარჯების ანაზღაურების ნორმების შეცვლა, რაც გათვალისწინებულია აღნიშნული დად-

გენლებით, უნდა განახორციელონ მართვის ორგანოებმა, აგრეთვე არსებულმა დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა სამსახურებრივი მივლინებებისათვის გამოყოფილი სახსრების ფარგლებში;

— სამხედრო მოსამსახურეთა მივლინების წესსა და პირობებს ადგენენ — შესაბამისად — სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრო, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი;

გ) შეინარჩუნა ზოგიერთი კატეგორიის მუშაკებისათვის სსრ კავშირის მთავრობის ცალკეული გადაწყვეტილებებით დაწესებული უფრო დიდი ოდენობის დღიურები (დანამატები დღიურების ნაცვლად) და საცხოვრებელი სადგომის ქირის ხარჯები;

დ) მიზანშეწონილად ცნო გაძლიერდეს სამინისტროების, უწყებების, გაერთიანებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა სამსახურებრივ მივლინებათა სახსრების სწორად და ეკონომიურად ხარჯვისათვის, დისციპლინური და მატერიალური პასუხისმგებლობა დაეკისროთ თანამდებობის პირებს, რომლებიც დამნაშავენი არიან ამ მიზნით სახსრების უკანონო ან მფლანგველურ ხარჯვაში, აგრეთვე ვერ უზრუნველყოფენ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი მივლინებათა აღრიცხვის წესის დაცვას;

ე) შემოიღო ზემოაღნიშნული დადგენილება 1988 წლის 1 აპრილიდან.

2. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ გაერთიანებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ სამსახურებრივ მივლინებათა სახსრების ხარჯვაში მკაცრი ეკონომიის რეჟიმის დაცვა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ჩხეიძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვაპა**

52 საქართველოს სს რესპუბლიკაში ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბავში მუდმივად მცხოვრება მოქალაქეთა საკუთრებაში სოფლად არსებულ საცხოვრებელ სახლებთან მდებარე საკარმიდამო მიწის ნაკვეთების ეფექტიანად გამოყენების დაგეგმვით ღონისძიებათა შესახებ

„სოფლად არსებული დაცარიელებული სახლებისა და საკარმიდამო ნაკვეთების გამოყენების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 25 ივლისის № 854 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სს რესპუბლიკის ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეთა პირად საკუთრებაში არსებული სოფლად მდებარე საცხოვრებელი სახლების მიმდებარე მიწის ნაკვეთების რაციონალურად გამოყენების, აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს წინადადება და იმ მოქალაქეებს, რომლებიც ოჯახებით ცალ-ცალკე მუდმივად ცხოვრობენ რესპუბლიკის ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში, ხოლო სოფელ ადგილას თითოეულს ცალ-ცალკე პირად საკუთრებაში აქვს ნაწილი ერთი სახლისა, მაშინ შეიძლება სახლის ნაწილის მფლობელ თითოეულ ოჯახს გამოეყოს არსებული წესის შესაბამისად სახლთან მდებარე მიწის ნაკვეთიდან 0,06 ჰექტარამდე მიწის ფართობი (ნაგებობებით დაკავებული ფართობის ჩათვლით), თუ კი აღნიშნული მიწის ნაკვეთი კვლავ ირიცხება კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოს საკარმიდამო მიწის ფონდში.

თუ სახლთან მდებარე მიწის ნაკვეთის განაწილების შემდეგ კვლავ დარჩება სახლთან თავისუფალი მიწის ფართობი, რომლის საზოგადოებრივ მიწებთან (მასივთან) მიერთება ან ადგილობრივი მცხოვრებისათვის სამოსახლოდ გამოყოფა მოუხერხებელია, მაშინ იგი კოლმეურნეობასთან, საბჭოთა მეურნეობასთან ან სხვა საწარმოსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შეიძლება მიეცეს სახლის ერთ ან რამდენიმე შესაკუთრეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოსაყვანად და მოყვანილი პროდუქტების ნამეტის სახელმწიფოსათვის ან სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებისათვის მისაყიდად ამ მეურნეობის მიწვეობით. აღნიშნული პირობის დაცვაზე უარის შემთხვევაში მოქალაქეებს არ მიეცემათ სახლთან მდებარე ზედმეტი მიწის ფართობი ან იჯარის უფლება.

მიწის ნაკვეთები არ უნდა გამოეყოს იმ კატეგორიის მოქალაქეებს, რომელთა სია მოცემულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 25 ივლისის № 854 დადგენილების მე-5 პუნქტში.

მიწის ნაკვეთების კონკრეტულ სიდიდეს აწესებენ ორგანოები, რომლებიც გასცემენ ამ ფართობებს სარგებლობისათვის.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 6 ივნისის № 400 დადგენილება „სოფელთან კავშირგაწყვეტილ

პირთა მფლობელობაში არსებული სახლებითა და დამხმარე ნაგებობებში დაკავებული მიწის ფართობების აღრიცხვის მოწესრიგებისა და მათი გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩიქაძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვაძა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 16 მაისი, № 233

53 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 5 აპრილის № 415 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„საკოლმეურნეო ბაზრების მუშაობის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 5 აპრილის № 415 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 25 მაისის № 631 დადგენილება „ბაზრების ექსპლუატაციისა და კეთილმოწყობისათვის სახსრების ხარჯვის წესის შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 15 აგვისტოს № 1061 დადგენილება „1953 წლის მოსავლის ხილის და ყურძნის დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმის შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 26 სექტემბრის № 1261 დადგენილება „საკოლმეურნეო ბაზრებში მომსახურების საფასურის ვანაკვეთების შემცირების შესახებ“;

— მე-14, მე-15, მე-17, მე-18 პუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 11 ივნისის № 529 დადგენილებისა „საზამთროს, ნესვის და გოგრის წარმოებისა და დამზადების გადიდების შესახებ“.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 5 აპრილის № 415 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს მე-4 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 13 მარტის № 157 დადგენილებისა „ჩვენს ქვეყანაში ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესების“.

სების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 24 აპრილის № 247 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩარქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვაპია**

ქ. თბილისი, 1988 წ. 16 მაისი, № 235

54 ხარისხოვანი ჩაის ფოთლის შესასყიდი ფასების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის წინადადება და სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტის მიერ 1988 წლის 30 მარტს ჩაის პროდუქციის ახალი საბითუმო ფასების დამტკიცებასთან დაკავშირებით შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1988 წლის 1 მაისიდან 1991 წლის 1 იანვრამდე საქართველოს სსრ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის (მოსახლეობისაგან ხარისხოვანი ჩაის ფოთლის შესყიდვის გარდა) ხარისხოვანი ჩაის ფოთლის ახალი შესასყიდი ფასები შემდეგი ოდენობით: I ხარისხი — 1439 მანეთი, II ხარისხი — 920 მანეთი ტონისათვის.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 15 თებერვლის № 60 დადგენილება „ჩაის მწვანე ფოთლის ზონალური შესასყიდი ფასების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ჩხეიძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვაპია**

ქ. თბილისი, 1988 წ. 18 მაისი, № 237

55 საპროექტო-საძიებო სამუშაოთა დაგეგმვის საკითხზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში ცვლილებათა შეთანხმების შესახებ

საქართველოს სსრ ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების უფლებათა გაფართოებისა და პასუხისმგებლობის ამღლების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

შეტანილ იქნეს საპროექტო-საძიებო სამუშაოთა დაგეგმვის საკითხზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში შემდეგი ცვლილებანი:

1. „საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ხუთწლიანი გეგმების შემადგენლობაში საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის შესამუშავებელი პროექტების ნუსხების დამტკიცების წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 19 ოქტომბრის № 726 დადგენილების 1-ლ პუნქტში:

— მეორე აბზაცში სიტყვები: „1,5 მილიონი მანეთიდან 4 მილიონ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით: „3 მილიონი მანეთიდან 4 მილიონ მანეთამდე“;

— მესამე აბზაცში სიტყვები: „1,5 მილიონ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით: „3 მილიონ მანეთამდე“, ამასთან ქალაქების ნუსხას დაემატოს ქ. რუსთავი.

2. „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 ივლისის № 739 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შეცვლის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 2 ნოემბრის № 758 დადგენილების I განყოფის 1-ლ პუნქტში:

— მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში სიტყვები: „1,5 მილიონი მანეთიდან 4 მილიონ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით: „3 მილიონი მანეთიდან 4 მილიონ მანეთამდე“;

— მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში სიტყვები: „1,5 მილიონ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით: „3 მილიონ მანეთამდე“, ამასთან ქალაქების ნუსხას დაემატოს ქ. რუსთავი.

3. „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების მშენებლობის სამეურნეო აუცილებლობისა და ეკონომიკური მიზანშეწონილობის დამასაბუთებელ ტექნიკურ-ეკონომიკურ გაანგარიშებათა შემუშავებისა და დამტკიცების წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 24 მარტის № 166 დადგენილებით დამტკიცებული მითითებების მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტებში:

— მე-2 პუნქტის მეორე აბზაცში, მე-4 პუნქტის მეორე აბზაცსა და მე-5 პუნქტის მეორე აბზაცში სიტყვები: „4 მილიონი მანეთი და მეტი“ შეიცვალოს სიტყვებით: „8 მილიონი მანეთი და მეტი“;

— მე-2 პუნქტის მეოთხე აბზაცში, მე-4 პუნქტის მეოთხე აბზაცსა და მე-5 პუნქტის მესამე აბზაცში სიტყვები: „2 მილიონი მანეთიდან 4 მილიონ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით: „3 მილიონი მანეთიდან 8 მილიონ მანეთამდე“;

— მე-2 პუნქტის მეოთხე აბზაცში, მე-4 პუნქტის მეოთხე აბზაცსა და მე-5 პუნქტის მეოთხე აბზაცში სიტყვები: „2 მილიონ მანეთამდე“ შეიცვალოს

სიტყვებით: „3 მილიონ მანეთამდე“, ამასთან ქალაქების ნუსხის რედაქციის
ქ. რუსთავი.

4. „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში 4 მილიონ მანეთზე ნაკლები გაანგარიშებული ღირებულების საწარმოებისა და ნაგებობების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებათა დამტკიცების წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 24 მარტის № 167 დადგენილებით დამტკიცებული მითითებების მე-2 და მე-3 პუნქტებში:

— მე-2 პუნქტის მეორე აბზაცსა და მე-3 პუნქტის მეორე აბზაცში სიტყვები: „2 მილიონი მანეთიდან 4 მილიონ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით: „3 მილიონი მანეთიდან 4 მილიონ მანეთამდე“;

— მე-2 პუნქტის მესამე აბზაცსა და მე-3 პუნქტის მესამე აბზაცში სიტყვები: „2 მილიონ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით: „3 მილიონ მანეთამდე“, ამასთან ქალაქების ნუსხას დაემატოს ქ. რუსთავი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ჩარკვიანი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვაპა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 31 მაისი, № 250

56 ალექსანდრე (სანდრო) ვასილის ძე ახმეტელის სახელობის პრემიის დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის წინადადება და დაწესდეს გამოჩენილი ქართველი რეჟისორის ალექსანდრე (სანდრო) ვასილის ძე ახმეტელის სახელობის რესპუბლიკური პრემია საუკეთესო რეჟისორული ნამუშევრებისათვის.

2. ალექსანდრე (სანდრო) ვასილის ძე ახმეტელის სახელობის ერთი პრემია მიენიჭოს სამ წელიწადში ერთხელ. პრემია განისაზღვროს 1000 მანეთის ოდენობით. პრემიის გადაცემა მოხდეს 14 იანვარს — ქართული თეატრის დღეს.

3. ნება დაეთოს საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირს ალექსანდრე (სანდრო) ვასილის ძე ახმეტელის სახელობის პრემიის თანხა სამ წელიწადში ერთხელ გასცეს კავშირის სახსრებიდან.

4. დამტკიცდეს დებულება ალექსანდრე (სანდრო) ვასილის ძე ახმეტელის სახელობის პრემიის მინიჭების შესახებ.

5. დამტკიცდეს ალექსანდრე (სანდრო) ვასილის ძე ახმეტელის, საქართველოს პრემიის ლაურეატის სამკერდე ნიშნის აღწერილობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ჩხეიძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ბ. პანიჭაძე**

ქ. თბილისი, 1988 წ. 27 მაისი, № 252

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ალექსანდრე (სანდრო) ვასილის ძე ახმეტელის სახელობის პრემიის მინიჭების შესახებ

1. ალექსანდრე (სანდრო) ვასილის ძე ახმეტელის სახელობის ერთ პრემიას — ათასი (1000) მანეთის ოდენობით სამ წელიწადში ერთხელ ანიჭებს საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის სამდივნო საუკეთესო რეჟისორული ნამუშევრისათვის.

2. პრემიის მისანიჭებლად კანდიდატურებს წარადგენენ: სამინისტროები, უწყებები, შემოქმედებითი ორგანიზაციები, რედაქციები, სამეცნიერო დაწესებულებები, საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივები.

3. პრემიის მისანიჭებლად წარდგენილ უნდა იქნეს წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში დადგმული თეატრალური ნაწარმოებები.

4. წარდგინებას თან უნდა ახლდეს რეცენზიები და შეფასება-დასკვნები, აფიშები, პროგრამები — 3 ეგზემპლარად.

5. საპრემიოდ მიიღება ისეთი თეატრალური ნაწარმოებები, რომელთაც ადრე არ ჰქონიათ მინიჭებული სხვა სახელობითი პრემია.

6. ერთსა და იმავე პირს პრემია განმეორებით არ მიენიჭება.

7. ალექსანდრე (სანდრო) ვასილის ძე ახმეტელის სახელობის პრემიაზე წარდგენილ თეატრალურ ნაწარმოებთა განხილვისა და შეფასებისათვის იქმნება მუდმივი კომიტეტი, რომლის შემადგენლობას დაამტკიცებს საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის სამდივნო.

8. საპრემიო მასალა წარწერთ — „სანდრო ახმეტელის პრემიის მოსაპოვებლად“ — უნდა წარედგინოს პრემიის მიმნიჭებელ კომიტეტს პრემიის მინიჭებამდე არა უგვიანეს 6 თვისა. პრემიის მინიჭება ხდება ქართული თეატრის დღეს — 14 იანვარს.

9. პრემიის მიმნიჭებელი კომიტეტი ვალდებულია განიხილოს წარდგენილი მასალა და პრემიის კანდიდატურა (კანდიდატურები) წარუდგინოს საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის პრეზიდიუმს არა უგვიანეს ექვსი თვისა პრემიის მინიჭებამდე.

10. თეატრალური ნაწარმოებები, რომლებიც წარდგენილია პრემიის მოსაპოვებლად განხილულ უნდა იქნეს პრესაში, შემოქმედებითს ორგანიზაციებში, საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების კრებებზე.

11. პრემიის მიმნიჭებელი კომიტეტის სხდომებს იწვევს კომიტეტის თავმჯდომარე. სხდომა უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება წევრთა არანაკლებ ორი მესამედისა.

12. გადაწყვეტილებას პრემიის მინიჭების შესახებ კომიტეტი იღებს ფარული კენჭისყრით, ხმების უმრავლესობით და ეს გადაწყვეტილება ძალაში

შედის საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის სამდივნოს ამტკიცების შემდეგ.

13. პრესაში ქვეყნდება ცნობა ალექსანდრე (სანდრო) ვასილის ძე ახმეტელის სახელობის პრემიის მინიჭების შესახებ.

14. იმ შემთხვევაში, თუ პრემია მიენიჭება ერთი თეატრალური ნაწარმოების რეჟისორთა ჯგუფს, პრემიის თანხა ნაწილდება თანაბრად.

15. ფულად ჯილდოსთან ერთად დაჯილდოებულს გადაეცემა აგრეთვე სამკერდე ნიშანი და დიპლომი.

16. ალექსანდრე (სანდრო) ვასილის ძე ახმეტელის სახელობის პრემიის ლაურეატის სამკერდე ნიშნის აღწერილობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის სამდივნოს წარდგენით.

დამტკიცებულია
 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 1988 წლის 27 მაისის № 252 დადგე-
 ნილებით

ა ლ ყ ე რ ი ლ ო ბ ა

სანდრო ახმეტელის სახელობის პრემიის ლაურეატის სამკერდე ნიშნისა

ზომა: დიამეტრი — 2,5 სმ, სისქე — 1,5 მილიმეტრი.

მასალა — მოოქროვილი ბრინჯაო.

სამკერდე ნიშნის წინა მხარე: მარჯვნივ — სანდრო ახმეტელის ბარელიე-
ფი პროფილში, მარცხნივ — დაფნის რტოს მოხატულობა.

სამკერდე ნიშნის უკანა მხარე წარწერით:

სანდრო ახმეტელის პრემიის ლაურეატი.

ჩამოკიდებული იქნება წითელი ემალით დაფარულ ფირფიტაზე (ზომა
26 მმ × 9,5 მმ-ზე).

57 ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კვლევისა და წარმოების სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ადაპტაგენის“ შემოსის შესახებ

არასარეწაო ორგანიზმების — ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა დონორების გამოყენებით ბუნებრივი ადაპტაგენების შესამუშავებლად და გამოსაყენებლად სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა გააქტიურებისა და გაფართოების, აგრეთვე ორგანიზმების ნორმალური ფუნქციონირების რეგულატორთა წარმოების ორგანიზაციის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღგენს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ტექნოლოგიური ლაბორატორიისა და ფოთის ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა უნარჩუნო წარმოების სამრეწველო საწარმოს ბაზაზე ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კვლევისა და წარმოების სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ადაპტაგენი“.

დაწესდეს, რომ გაერთიანების სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია „სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების დებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 30 დეკემბრის № 1062 დადგენილების შესაბამისად ამავე დროს არის გაერთიანების მთავარი სტრუქტურული ერთეული.

2. დაევალოს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კვლევისა და წარმოების ახალშექმნილ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას „ადაპტაგენს“ ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და წარუდგინოს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს დასამტკიცებლად გაერთიანების დებულება „სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების დებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 30 დეკემბრის № 1062 დადგენილების შესაბამისად.

3. დაეკისროს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კვლევისა და წარმოების სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას „ადაპტაგენს“ ღონისძიებათა კომპლექსის შესრულება „მეცნიერება-წარმოების“ სამუშაოთა მთელი ციკლის მიხედვით, რომელიც შეიცავს არასარეწაო ორგანიზმების — ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა დონორების გამოყენებით ბუნებრივი ადაპტაგენების შემუშავებისა და გამოყენების, აგრეთვე ნორმალური ფუნქციონირების რეგულატორთა წარმოების ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს.

4. დაწესდეს, რომ სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის დირექტორი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების დებულების შესაბამისად ამავე დროს არის გაერთიანების გენერალური დირექტორი.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახმომარაგებამ გაითვალისწინონ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კვლევისა და წარმოების სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ადაპტაგენის“ აღჭურვა საჭირო მოწყობილობით, მექანიზმებით, ხელსაწყოებითა და სხვა ძირითადი საშუალებებით წარდგენილი განაცხადების შესაბამისად.

6. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა გამოუყოს 1988 წელს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებების სინთეზის გეგმით ლაბორატორიის დამატებით ათი საშტატო ერთეული შესაბამისი ხელფასის ფონდით.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გამოყოს:

— ხელფასის ფონდი წარდგენილ გაანგარიშებათა თანახმად სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების სამრეწველო საწარმოსათვის;

— ერთი ლშაზ-890ბ ავტორეფრაქტორის, ერთი შაზ-3152, ერთი ბაზ-52 ბორტიანი ავტომობილის ლიმიტები.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარმა სამეურნეო სამმართველომ გაითვალისწინოს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კვლევისა და წარმოების სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ადაპტაგენისათვის“ ბაზ-24 მარკის ერთი გამოთავისუფლებული ავტომობილის გამოყოფა.

9. ფოთის ტერიტორიულ-დარგთაშორისმა გაერთიანებამ გაუწიოს ყოველმხრივი დახმარება ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კვლევისა და წარმოების სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას „ადაპტაგენს“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ჩარკვიანი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვაზა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 3 ივნისი, № 257

58 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 29 მარტის № 145 დადგენილებაზე დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და მიწოდების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 29 მარტის № 145 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 29 სექტემბრის № 559 დადგენილება „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სპეკულაციისა და ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლის ზომების შესახებ“.

2. 1-ლი პუნქტის პირველი აზვაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 20 აპრილის № 266 დადგენილებისა „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რაღური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 27 თებერვლის № 158 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ“;

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 1 ნოემბრის № 608 დადგენილება „ციტრუსოვანთა ნაყოფის შესყიდვისა და რეალიზაციის წესის შესახებ“, 1-ლი პუნქტის გარდა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ჩირაქიანი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიზვაძე**

ქ. თბილისი, 1988 წ. 15 ივნისი, № 274

59 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 16 აპრილის № 480 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“ სსრ კავშირის კანონთან და „ვაჭრობის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლისა და შეცვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 16 აპრილის № 480 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩათვალოს საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებანი ვაჭრობის საკითხებზე, თანდართული ნუსხის თანახმად.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 16 აპრილის № 480 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩათვალა:

— 1-ლი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 6 ნოემბრის № 468 დადგენილებისა „საცალო საქონელბრუნვის დაგეგმვის დარგში მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების უფლებების შემდგომი გაფართოების შესახებ“ (სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 29 აპრილის № 347 დადგენილების რედაქციით), რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 6 დეკემბრის № 704 დადგენილებით;

— მე-11 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 22 აგვისტოს № 902 დადგენილებისა „სავაჭრო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების ხელშეკრულებათა დადგენილების შესახებ“;

ბის წესის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 25 სექტემბრის № 626 დადგენილებით;

— 24-ე, 36-ე და 38-ე პუნქტები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 13 მარტის № 157 დადგენილებისა „ჩვენს ქვეყანაში ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესების შესახებ“, აგრეთვე მე-10 პუნქტი ამავე დადგენილებისა სახელმწიფო ვაჭრობის ნაწილში, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 24 აპრილის № 247 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ჩარქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიპვანია**



ქართული
 დამბეჭდველთა კავშირი
 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 1988 წლის 15 ივნისის № 275
 დადგენილებით

ნ უ ს ხ ბ

საქართველოს სსრ მთავრობის ძალადაქარგული დადგენილებებისა ვაჭრობის საკითხებზე

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 7 თებერვლის № 155 დადგენილება „სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა ხელფასის გარდაქმნის შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 1 ნოემბრის № 1722 დადგენილება „ვაჭრობის სამინისტროს სისტემის საჩივიების, კაფეებისა და სასაუზმეების ტიპობრივი შტატების შესახებ“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 4 სექტემბრის № 690 დადგენილება „სავაჭრო ქსელში დაგროვილი არაგასავლიანი საქონლის რეალიზაციის ზომების შესახებ“.

4. მე-7 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები და მე-8-10 პუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 10 სექტემბრის № 640 დადგენილებისა „ვაჭრობის გაუმჯობესების ზოგიერთი დამატებითი ღონისძიების შესახებ“.

5. მე-11 პუნქტის მესამე-მეხუთე, აგრეთვე მეცხრე და მეთათე აბზაცები, მეთერთმეტე აბზაცის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტები და მეთორმეტე აბზაცის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 5 ოქტომბრის № 615 დადგენილებისა „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ვაჭრობის შემდგომი გაუმჯობესების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“.

6. 31-ე პუნქტის მეექვსე აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 6 დეკემბრის № 786 დადგენილებისა „საქართველოს სსრ 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“.

7. 39-ე და მე-40 პუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 23 ნოემბრის № 800 დადგენილებისა „საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1982 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“.

8. მე-3 პუნქტის უკანასკნელი აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 18 სექტემბრის № 614 დადგენილებისა „მოქალაქეთათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის შესახებ“.

60 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 16 აპრილის № 481 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“ სსრ კავშირის კანონთან და ეკონომიკის მართვის გარდაქმნის თაობაზე სხვა გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით და „ადგილობრივი მრეწველობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლისა და შეცვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 16 აპრილის № 481 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანილ საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა ნაწილი:

— მე-2 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 19 ივნისის № 762 დადგენილებისა „მოსახლეობისათვის ფეხსაცმლის, ტანსაცმლისა და ლითონის ნაწარმის შემკეთებელი სახელოსნოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“;

— 23-ე პუნქტის მერვე აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 20 ნოემბრის № 696 დადგენილებისა „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში საბინაო ფონდის და კომუნალური მეურნეობის ობიექტების ექსპლუატაციის გაუმჯობესების ზომების შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 31 მაისის № 370 დადგენილება „საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროში 1986 წლიდან ეკონომიკური ექსპერიმენტის განხორციელებასთან დაკავშირებით სამინისტროს სისტემის საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 16 აპრილის № 481 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 17 დეკემბრის № 948 დადგენილება „იმის შესახებ რომ, გადაყვანილ იქნენ ცდის სახით საბინაო-კომუნალური მეურნეობის ცალკეული საწარმოები და ორგანიზაციები დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 8 თებერვლის № 79 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ჩიჩუაშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვაპა**

61 სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის შრომის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალთან მართვის, დაგეგმვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის საკონსულტაციო-დანერგვითი სამეურნეოანგარიშობიანი ცენტრის „შრომის“ შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა, პარტიისა და მთავრობის მომდევნო გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკაში მიმდინარეობს საჭირო მუშაობა სამეურნეო მექანიზმის გარდასაქმნელად, მართვის ეკონომიკურ მეთოდებზე ვადასვლის უზრუნველსაყოფად.

პრაქტიკულ საქმიანობაში მეცნიერული ნამუშევრების დანერგვის დასაჩქარებლად საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციებისათვის კვალიფიციური და ეფექტიანი დახმარების გაწევის და სრული სამეურნეო ანგარიშის, თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების პრინციპების საყოველთაო ფართო რეალიზაციის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს შექმნას სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის შრომის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალთან მართვის, დაგეგმვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის საკონსულტაციო-დანერგვითი სამეურნეოანგარიშობიანი ცენტრი „შრომა“.

2. საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა შეიმუშაოს და დაამტკიცოს დადგენილი წესით მართვის, დაგეგმვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის საკონსულტაციო-დანერგვითი სამეურნეოანგარიშობიანი ცენტრის „შრომის“ დებულება და სტრუქტურა.

3. ნება დაერთოს მართვის, დაგეგმვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის საკონსულტაციო-დანერგვით სამეურნეოანგარიშობიანი ცენტრს „შრომის“ მიზიდოს სამუშაოდ შესაბამისი პროფილების მაღალკვალიფიციური მეცნიერი მუშაკები და სპეციალისტები რესპუბლიკის სხვა მეთურნეობაში დასაქმებულ მუშაკთაგან.

4. გამოეყოს, როგორც გამონაკლისი, 1988 წელს საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს ხელფასის ფონდი 50 ათასი მანეთის ოდენობით მართვის, დაგეგმვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის საკონსულტაციო-დანერგვითი სამეურნეოანგარიშობიანი ცენტრის „შრომის“ შესაქმნელად და აღნიშნული კომიტეტის სამუშაოთა სახელმწიფო შეკრულებო საწყისებზე შესასრულებლად.

საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა და სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის შრომის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა, მოყოლებული 1989 წლიდან, უზრუნველყონ ცენტრალიზებული წესით სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის მე-

შეფობით შემოაღნიშნული ცენტრის აპარატის შენახვისათვის საქართველოს ლიმიტების მიღება.

5. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ სახმომარაგებასთან ერთად განიხილონ სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის შრომის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის განაცხადების მიხედვით მართვის, დაგეგმვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის საკონსულტაციო-დანერგვითი სამეურნეოანგარიშოანი ცენტრის „შრომისათვის“ გასამრავლებელი და საბუქდი ტექნიკის, ინდივიდუალური კომპიუტერებისა და სხვა ორგტექნიკის გამოყოფის საკითხი.

6. საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა გაუწიოს მართვის, დაგეგმვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის საკონსულტაციო-დანერგვით სამეურნეოანგარიშოანი ცენტრს „შრომის“ მუდმივი მეთოდოკური და პრაქტიკული დახმარება, უზრუნველყოს იგი მუშაობისათვის საჭირო სამეცნიერო-მეთოდოკური და ნორმატიული დოკუმენტაციით.

7. სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის შრომის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა უზრუნველყოს მართვის, დაგეგმვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის საკონსულტაციო-დანერგვითი ცენტრი ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო პირობებით, შესაბამისი სადგომისა და ინვენტარის გამოყოფით, წარმოებაში დასანერგავი მეცნიერული ნამუშევრებით, განახორციელოს სამეცნიერო-მეთოდოკური ხელმძღვანელობა და აღმოუჩინოს პრაქტიკული დახმარება გეგმების ფორმირებისა და რეალიზაციის, კვალიფიციურ მუშაკთა მიზიდვის და მათთვის მეცნიერული კონსულტაციების გაწევის საქმეში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 თავმჯდომარე **მ. ჩიჩუაძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველი **ს. რიბვაძე**

62 საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სამეცნიერო-კვლევით ცენტრად გარდაქმნისა და სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე მისი გადამკვეთის შესახებ

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისათვის ბრძოლის გაძლიერებისა და მეცნიერული კვლევის შედეგების პრაქტიკაში უსწრაფესად დანერგვის უზრუნველყოფის მიზნით, აგრეთვე „სამეცნიერო ორგანიზაციების სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 30 სექტემბრის № 1102 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის და საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოს 1987 წლის 31 დეკემბრის № 793/33-75 დადგენილების საფუძველზე გარდაიქმნას საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სამეცნიერო-კვლევით ცენტრად.

2. გადაყვანილ იქნეს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ახალშექმნილი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე, ამასთან შეუნარჩუნდეს მას მეცნიერ მუშაკთა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურების მეორე კატეგორია.

3. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ განიხილოს და დამტკიცოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სამეურნეო ანგარიშის შესაბამისი ფორმა, სტრუქტურა და დებულება.

4. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საქმიანობის ძირითად მიმართულებად ჩაითვალოს საგზაო მოძრაობის ორგანიზაციისა და უსაფრთხოების პრობლემებზე მეცნიერულად დასაბუთებული კონცეფციის, აგრეთვე მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავება საქართველოს სსრ სპეცდოქტორ პირობებში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა თავიდან აცილებისა და მათი შედეგების სიმძიმის შემცირებისათვის შემდეგი საკითხების მიხედვით:

— საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა წარმოშობი მიზეზების კვლევა, ანალიზი და მათი თავიდან აცილებისათვის კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება;

— საგზაო მოძრაობის პირობების შესწავლა და მათი სრულყოფის ღონისძიებათა შემუშავება;

— ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა ნაკადების მოძრაობის ინტენსიურობის შესწავლა და მოძრაობის ინტენსიურობის ზრდის პერსპექტივის



განსაზღვრა რესპუბლიკის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების შესაბამისად,

— სატრანსპორტო საშუალებათა და საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ოპტიმალური სქემების შემუშავება ქუჩებში და საავტომობილო გზებზე მოძრაობის რეჟიმების დაწესებით;

— საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებაზე მთის გზის თავისებურებათა გავლენის გამოკვლევა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

— საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებაზე სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობის გავლენის გამოკვლევა;

— საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებაზე სატრანსპორტო საშუალებების მძლოლთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების სოციალურ-პიგიენური პირობების, ფსიქოლოგიურ-ფიზიოლოგიური თავისებურებების გავლენის შესწავლა;

— მეთოდოლოგიური მითითებების, წესებისა და ნორმატივების შემუშავება ან მონაწილეობა მათ შემუშავებაში, აგრეთვე საავტომობილო გზების, ქუჩების, საგზაო ნაგებობებისა და რკინიგზის გადასასვლელების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროექტების განხილვა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ნაწილში და მათ გამო დასკვნების გაცემა;

— რესპუბლიკის ქალაქებში გარემოზე ავტომობილიზაციის გავლენის გამოკვლევათა განხორციელება;

— საქართველოს სს რესპუბლიკაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებში სხვა ორგანიზაციათა და უწყებათა საქმიანობის კოორდინაცია.

5. ნება დაერთოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სამეცნიერო-კვლევით ცენტრს მიიზიდოს შეთავსებით სამუშაოდ მაღალკვალიფიციური მეცნიერი თანამშრომლები 10 ერთეულის ფარგლებში.

6. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 20 დეკემბრის № 832 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ჩაჩუაძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიხვაძე**

63 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 28 დეკემბრის № 633 დადგენილების ნაწილობრივი შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

მიღებულ იქნეს სსრ კავშირის შემნახველი ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის წინადადება, შეთანხმებული საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან, და საავტომობილო მომგებიანი ანაბრების და წლიური 2 პროცენტის გაანგარიშებით გასათამაშებელი თანხების მნიშვნელოვან ზრდასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს „საქართველოს სს რესპუბლიკაში ცდის წესით საავტომობილო მომგებიანი ანაბრების მიღების ჩატარების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 28 დეკემბრის № 633 დადგენილების მე-3 პუნქტში ნაწილობრივი ცვლილება და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ გამოყოს 1988 წლისათვის 1241 ათასი მანეთის მსუბუქი ავტომობილები, მათ შორის 328 ათასი მანეთის „ვოლგის“ მარკის ავტომობილები და 913 ათასი მანეთის სხვადასხვა მოდიფიკაციის „ჟიგულის“ მარკის ავტომობილები, საავტომობილო მომგებიანი ანაბრების მიხედვით მოგებათა პირველი ტირაჟის ჩასატარებლად, ხოლო შემდგომში საჭირო რაოდენობის მსუბუქი ავტომობილები, რასაც განსაზღვრავს სსრ კავშირის შემნახველი ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკი, აგრეთვე უზრუნველყოს ავტომობილების დაუბრკოლებლად მიცემა მფლობელთათვის მიზნობრივი საანგარიშსწორებო ჩეკების მიხედვით“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვაპა**



64 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის ივნისის № 421 და 1985 წლის 17 ოქტომბრის № 653 დადგენილებათა კალადაპარგულად ჩათვლის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ, „სახელმწიფო ვაჭრობასა და სამომხმარებლო კოოპერაციაში დაგეგმვის, ეკონომიკური სტიმულირებისა და მართვის სრულყოფის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 17 ივლისის № 842 დადგენილების მოთხოვნებიდან გამომდინარე, შეიმუშავა და დამტკიცა სახელმწიფო ვაჭრობის საწარმოებში (ორგანიზაციებში) მოსახლეობის შეზღუდული მოთხოვნილების მქონე არასასურსათო საქონლის ჩამოფასების ჩატარების წესის ძირითადი დებულებანი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი: 1981 წლის 12 ივნისის № 421 „საქართველოს სსრ სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციებსა და საწარმოებში მოქველებული ფასონებისა და მოდელების არასასურსათო საქონლის, აგრეთვე ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის ჩამოფასებისა და გაყიდვის წესის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ და 1985 წლის 17 ოქტომბრის № 653 „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 12 ივლისის № 421 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციებსა და საწარმოებში მოქველებული ფასონებისა და მოდელების არასასურსათო საქონლის, აგრეთვე ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის ჩამოფასებისა და გაყიდვის წესის ინსტრუქციაში ცვლილებათა შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **ს. რიგვაპა**

65 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 26 მარტის № 139 დადგენილების ძალადაპარბუღად ჩათვლის შესახებ

„საავტომობილო და სამდინარო ტრანსპორტის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაპარბუღად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 16 აპრილის № 479 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ძალადაპარბუღად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 26 მარტის № 139 დადგენილება „საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გაერთიანებათა (საწარმოთა) და ორგანიზაციათა მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებზე გადაყვანის შესახებ“ სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანილ საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა ნაწილში, მე-11 პუნქტის გარდა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩირქეია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიბვაპა**

ქ. თბილისი, 1988 წ. 24 ივნისი, № 292

66 რუსთაველის საზოგადოების საკითხები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად 1988 წლის 19 მარტს ქ. თბილისში გამართული რუსთაველის საზოგადოების დამფუძნებელი კონფერენციის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ შეიქმნას საზოგადოებრივი ორგანიზაცია — რუსთაველის საზოგადოება, რომელიც თავის საქმიანობას წარმოართავს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების, მოქმედი კანონმდებლობისა და საკუთარი წესდების შესაბამისად.

2. დაწესდეს, რომ:

— რუსთაველის საზოგადოება მისთვის დაკისრებული ფუნქციების განხორციელებისას სარგებლობს საქართველოს სსრ უწყების უფლებებით;

— რუსთაველის საზოგადოების სახსრებს შეადგენს ინდივიდუალურ და კოლექტიურ წევრთა შენატანი, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შემოქმედებითი კავშირების, საწარმოთა, დაწესებულებათა შრომითი კოლექტივებისა და ცალკეული მოქალაქეების ნებაყოფლობითი შენატანი, საჩუქრები და ანარიცხები, საზოგადოების მიერ შექმნილ საწარმოთა და ორგანიზაციათა საწარმოო საქმიანობით მიღებული შემოსავალი, ორგანიზაციათა და ცალკეულ პირთა საზღვარგარეთის ფონდებიდან მიღებული შემოსავალი ფულადი სახს-

რების, მატერიალურ და კულტურულ ფასეულობათა და უძრავი ქონების სახით, აგრეთვე საზოგადოების სასარგებლოდ გამართული შაბათობების, კვირაობებისა და სხვა ნებაყოფლობითი ღონისძიებების, გამოფენა-გაყიდვების, აუქციონების, ლატარიების, ფასიანი მომსახურების, საზოგადოების საგამომცემლო და სხვა საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობის შემოსავალი;

— საწყის პერიოდში (5 წლამდე) რუსთაველის საზოგადოების საქმიანობა უზრუნველყოფილია საზოგადოების დამფუძნებელთა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ერთდროული შენატანებისა და ნებაყოფლობითი ყოველწლიური ანარიცხების ხარჯზე;

— განთავისუფლდნენ რუსთაველის საზოგადოება და მისი საქვეუწყებო დაწესებულებანი, ორგანიზაციები და საწარმოები საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში შესატანი გადასახადების, სახელმწიფო და საბაჟო გადასახადისა და სხვა გამოსაღების გადახადისაგან, აგრეთვე საქველმოქმედო ღონისძიებათა განხორციელებისას შენობა-ნაგებობათა საიჯარო ქირისაგან;

— საზოგადოების შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვას ამტკიცებს მისი გამგეობის პრეზიდიუმი;

— რუსთაველის საზოგადოების მართვის ორგანოები (აგტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისის, გორის, ზუგდიდის, თელავის, მახარაძის გარდა) ძირითადად იქმნება საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე პირთაგან;

— რუსთაველის საზოგადოება მისთვის დაკისრებულ ფუნქციებს ახორციელებს შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან, ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებთან, აგრეთვე იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან ურთიერთმოქმედებით, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია საზოგადოების ამოცანებთან.

3. საქართველოს სსრ სამინისტროებმა, უწყებებმა, დაწესებულებებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის აგტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა გაუწიონ რუსთაველის საზოგადოებას მუდმივი დახმარება მისთვის დაკისრებული ამოცანების შესრულებაში.

4. საჭიროების კვალობაზე აგტონომიურ რესპუბლიკებსა, აგტონომიურ ოლქში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში შეიქმნას რუსთაველის საზოგადოების განყოფილებანი ან დაინიშნოს მისი რწმუნებულები.

5. ნება დაერთოს რუსთაველის საზოგადოების გამგეობას:

— გახსნას სათანადო ანგარიშები სსრ კავშირის საბინაო-კომუნალური ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ ბანკში საბჭოთა და უცხოელი მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისაგან შემოსული საბჭოთა და უცხოური ვალუტის თანხების ჩასარიცხად და მათი დადგენილი წესით ხარჯვისათვის;

— შექმნას დადგენილი წესით საწარმოები და ორგანიზაციები (მათ შორის კოოპერაციულ და სააქციო საწყისებზე) მისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულების მიზნით, აგრეთვე განახორციელოს საკუთარი სახსრების

ხარჯზე საწარმოო, სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების ობიექტების მშენებლობა.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა დადგენილი წესით უზრუნველყოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში რუსთაველის საზოგადოებისათვის საჭირო საიჯარო სამუშაოთა ლიმიტების, მატერიალური რესურსებისა და სატრანსპორტო საშუალებების გამოყოფა ზემოაღნიშნული მიზნებისათვის.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახმომარაგებამ 1989 წლიდან გაითვალისწინონ რუსთაველის საზოგადოების გამგეობის მიერ წარმოდგენილი განაცხადებისა და გაანგარიშების საფუძველზე საჭირო საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების მასალისა და მოწყობილობის გამოყოფა მისი საწარმო-ორგანიზაციების საქმიანობის უზრუნველსაყოფად;

— დააარსოს რუსთაველის სახელობის სტიპენდიები:

უმალღეს სასწავლებელთა სტუდენტთათვის — 100 მანეთის ოდენობით; ასპირანტთა, ახალგაზრდა მეცნიერ და შემოქმედ მუშაკთათვის, აგრეთვე რუსთველოლოგიასა და ქართველოლოგიაში მომუშავე უცხოელ მოქალაქეთათვის — 150 მანეთის ოდენობით.

დაუნიშნოს აღნიშნული სტიპენდიები საკუთარი სახსრების ხარჯზე გამგეობის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვადით.

6. უფლება მიეცეს რუსთაველის საზოგადოებას:

— გამოუშვას პროდუქცია და ნაკეთობანი მისი საქმიანობის პროფილის გათვალისწინებით;

— განუსაზღვროს საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებს დადგენილი წესის დაცვით საქონლისა და მომსახურების, აგრეთვე კულტურის ოსტატთა გამოყენებასა და შემოქმედებითს საღამოებზე დასასწრები, თვითმოქმედი კოლექტივების გამოსვლებსა და სხვა ღონისძიებებზე შესასვლელი ბილეთების ფასები, ამასთან მხედველობაში იქონიოს, რომ საზოგადოების გამგეობა უზრუნველყოფს ფართო ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რას მოხმარდება ამონაგები სახსრები;

— დაუდოს საზღვარგარეთის ფირმებსა და ორგანიზაციებს პირდაპირი ურთიერთობის საფუძველზე კონტრაქტები საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ გამოშვებული საქონლის ექსპორტისათვის, აგრეთვე მათ მიერ გაწეული მომსახურებისათვის;

— შექმნას ერთობლივი საწარმოები, განახორციელოს ერთობლივი საინფორმაციო-პრობაგანდისტული, სამეცნიერო, სასწავლო, შემოქმედებითი და ეკონომიკური ღონისძიებანი საზღვარგარეთის ორგანიზაციებთან რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებებისათვის დადგენილი წესით.

— სამუშაოს მოცულობის შესაბამისად მიიზიდოს შეთავსების პირობებით ცალკეული მაღალკვალიფიციური სპეციალისტები გამგეობის ცენტრალურ აპარატსა და მის განყოფილებებში სამუშაოს შესასრულებლად.

7. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსთაველის საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმთან ერთად განახორციელოს აუცილებელი ღონისძიებანი, რათა შეიყვანოს რუსთაველის საზოგადოება საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შემადგენლობაში, რომლებიც ახორციელებენ საერთაშორისო კონტაქტებს და შედიან, დადგენილი წესით, შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებში.

8. უფლება მიეცეს რუსთაველის საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმს:

— დამტკიცოს ცენტრალური აპარატის და საზოგადოების დაწესებულებათა და საწარმოთა აპარატის სტრუქტურა და საშტატო განრიგი ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა რიცხოვნობის ნორმებისა და თანაფარდობის გაუთვალისწინებლად, დაუნიშნოს მუშაკებს სარგოები თანამდებობრივი სარგოების სქემის მიხედვით საშუალო სარგოების გაუთვალისწინებლად, ამ აპარატის მუშაკთა დამტკიცებული ხელფასის ფონდებისა და რიცხოვნობის ფარგლებში;

— დაუნიშნოს ცენტრალური აპარატისა და მისი რეგიონალური განყოფილებების მუშაკებს, დამტკიცებული ხელფასის ფონდების ფარგლებში, დანამატები მალალი შრომითი მიღწევებისათვის ან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამუშაოს დაწესებულ ვადაში შესრულებისათვის მათი თანამდებობრივი სარგოების 50 პროცენტამდე ოდენობით ხელფასის ფონდის ეკონომიის ხარჯზე; ეს დანამატები მუშაობის ხარისხის გაუარესებისას შეიძლება გაუქმდეს ან წმინდობდეს.

9. დამტკიცდეს რუსთაველის საზოგადოების ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგი და თანამდებობრივი განაკვეთები შრომის ანაზღაურების პირობების საბოლოო გადაწყვეტამდე (დანართის თანახმად).

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში რუსთაველის საზოგადოების ცენტრალური აპარატის შესანახად ხელფასის ფონდის გამოყოფა დადგენილი საშტატო განრიგისა და სარგოების გათვალისწინებით.

10. გავრცელდეს რუსთაველის საზოგადოების ცენტრალური აპარატისა და მისი განყოფილებების მუშაკებზე სამეცნიერო ხარისხისათვის, უცხო ენების ცოდნისა და მუშაობის გამოყენებისათვის ხელფასის დანამატების გაცემის დადგენილი წესი.

11. თბილისის სახალხო დემუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა:

— გადასცეს ბალანსიდან ბალანსზე რუსთაველის საზოგადოების გამგეობას რუსთაველის პროსპექტის № 27 შენობა „რუსთაველის სახლის“ მოსაწყობად;

— ჩაატაროს 1988 წელს აღნიშნული შენობის კაპიტალური რემონტი, ხოლო საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტმა გამოიყონ მიმდინარე წელს რუსთაველის საზოგადოებას საჭირო საწარმოები და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები;

— „რუსთაველის სახლის“ საქსპლუტაციოდ გადაცემამდე რუსთაველის საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმი და აპარატი რუსთაველის პროსპექტის № 37 შენობაში (II სადარბაზო, II სართულის ნაწილი), რუსთაველის საზოგადოებისათვის დროებით გადაცემული სადგომი დარჩეს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ბალანსზე.

12. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა:

— მიიღონ შესაბამისი დადგენილებანი, რომლებიც დაკავშირებულია რუსთაველის საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო, სარაიონო განყოფილებების ორგანიზაციებთან და საქმიანობის უზრუნველყოფასთან, მათი მუშაობისათვის საჭირო პირობების შექმნასთან;

— უზრუნველყონ რუსთაველის საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო, სარაიონო განყოფილებები შესაბამისი სადგომებით;

— გამოყონ დადგენილი წესით ყოველწლიურად, მოყოლებული 1989 წლიდან, რუსთაველის საზოგადოების გამგეობისა და მისი ადგილობრივი განყოფილებების განკარგულებაში საცხოვრებელი ფართობის ფონდები თანამშრომელთათვის.

13. რუსთაველის საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან ერთად ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი რუსთაველის საზოგადოების სამეცნიერო ცენტრისა და რუსთაველის მუზეუმის შექმნის შესახებ.

14. მიენიჭოთ:

— რუსთაველის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და პასუხისმგებელ მდივანს რესპუბლიკური უწყებების ხელმძღვანელებისა და მათი მოადგილეებისათვის დაწესებული უფლებანი;

— რუსთაველის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეებსა და პასუხისმგებელ მდივანს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული მეოთხე მთავარი სამმართველოს პოლიკლინიკით სარგებლობის უფლება. დაწესდეს, რომ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებიდან და საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან რუსთაველის საზოგადოების გამგეობის ცენტრალურ აპარატში ხელმძღვანელ თანამდებობებზე გადაყვანილ მუშაკებს უნარჩუნდებათ სამედიცინო მომსახურების შეღავათები.

15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარმა სამეურნეო სამმართველომ გადასცეს რუსთაველის საზოგადოების ბალანსზე ორი გამოთავისუფლებული მსუბუქი ავტომობილი ვაზ-24, ხოლო საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გამოუყოს მას სამსახურებრივი სარგებლობის ავტომობილის ორი ლიმიტი, საზოგადოების საქმიანობის საწყის პერიოდში (5 წლამდე) კი მათი შენახვის სახსრებიც.

16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის საბჭოს და საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ გადაწყვიტონ რუსთაველის საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმისათვის მთავრობის ავტომატური ტელეფონის სადგურის გამონთავისუფლებული საქალაქო ავტომატური ტელეფონის სადგურის ტელეფონის დადგმის საკითხი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვაზა**



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1988 წლის 24 ივნისის № 299
დადგენილების დანართი

**რუსთაველის საზოგადოების ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგი
და თანამდებობრივი განაკვეთები**

	საშტატო ერთეული	თანამდებობრივი განაკვეთები
თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	300
თავმჯდომარის მოადგილე	2	200—230
განყოფილების გამგე	2	160—180
უფროსი რეფერენტი	9	170—190
მთავარი ბუღალტერი	1	160—180
ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების უფროსი	1	140
ავტომობილის მძღოლი	2	120
სულ	18	
საშუალო თვიური ხელფასი		3260

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვაპა**

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА
ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 3, 1988 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საგამომცემლო განყოფილება

ბელორუსული დასაბეჭდად 28/VII-88 წ. ქალაქის ზომა 70×108¹/₁₆
საბეჭდი თაბახი 4,5, საარტიკლო თაბახი 4,5.

წლიური ბელორუსის ფასი 3 მან.